ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 3 ნოემბერი, 2022 №217 (8995) ფასი: 80 თეთრი

ლენტეხის მერის სამუშაო კაბინეტი დაცხრილეს

გვ.5

„სალომე ზურაბიშვილმა დაგვიმტკიცოს, რომ მარიონეტი არ არის და გვარამია შეინყალოს“

გვ.5

სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა

გვ.2

თაკო ჩარკვიანი: „სიტყვა პრაიმერი რომ გავიგე, ლამის გული გამისკდა. მერამდენედ უნდა წავიდნენ იმავე წრეზე?! რა პრაიმერი, რამ გადაგრიათ?!“

პროკურატურა ნიკა გვარამიასთვის კიდევ უფრო მძიმე სასჯელს ითხოვს

„ოპოზიციაში ბრეჟნევის უძრაობის ხანა დგას“

სოსო ცინცაძე: „გახარია თუ ასე დაემალება ყველასა და ყველაფერს, ის შედეგი, რომელიც ამ არჩევნებზე დადო, სანატრელი გაუხდება“



გვ.3

რა პროცესებია მოსალოდნელი საქართველოს საზღვართან

გვ.4

„პუტინი დაშლას აჩქარებს“

„საბჭოთა კავშირის დაშლასაც არ ელოდნენ“

გვ.3

„ნაცხელისუფლების დროს 10 ათასზე მეტ ბიზნესმენს ბიზნესი წაართვეს“

დათო ლორთქიფანიძე: „კაკო ბობოხიძის განცხადება არის პირდაპირი აღიარება, რომ მათ დროს იყო ძალადობა, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, უსამართლობა, უკანონობა“

აშშ ვერ ხედავს ნიშნებს, რომ რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებას გეგმავს

გვ.6

2 გორში მასწავლებლებმა ერთმანეთი თმით ითრიეს

2 ანრი ოხანაშვილი: „თურმე მეცენატობა ნიშნავს ოლიგარქიას“

7 ნაპოლი და კვარაცხელია ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდნენ

6 კალინინგრადთან პოლონეთი მავთულის ღობეს ააშენებს

1993230720223

„სალომე ზურაბიშვილმა დაგვიმტკიცოს, რომ მარიონეტი არ არის და გვარამია შეიწყალოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

თაკო ჩარკვიანი: „სიტყვა პრაიმერი რომ გავიგე, ლამის გული გამისკდა. მერამდენედ უნდა წავიდნენ იმავე წრეზე?! რა პრაიმერი, რამ გადაგრიათ?!“

– ქალბატონო თაკო, გუშინ სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას საქმეზე განაჩენი გამოაცხადა დ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ბევრს არ ეგონა, რომ რამე შეიცვლებოდა, მაგრამ მაინც დიდი იყო მოლოდინი გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. თქვენ რას ელოდით?

– მე არ ველოდი, რომ გაათავისუფლებდა ნიკა გვარამიას სასამართლო. ეს არც დამიმალავს, ვთქვი კიდეც. დიდი სურვილი მქონდა, რომ გონივრულად მოქცეულიყო სასამართლო, მაგრამ ასეთი აღვირახსნილი ხელისუფლებები, რუსული ტიპის, არასოდეს არ იქცევიან გონივრულად. რის უნდა ეშინოდეს მას გარეთ, განა რა ხდება?! რა ზეწოლა აქვს გარედან მას?! ვგულისხმობ ქუჩიდან. ამოჩემება არ არის ეს ჩემი, კარგად გაანალიზებული და გათვლი მაქვს, რაზეც ვლაპარაკობ. ეს მათი პრობლემაა, იმ ცუღლუტების, რომლებსაც გათვლილი და გაანალიზებული არა აქვთ. მე ძალიან კარგად ვიცი, რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ იმისთვის, რომ ბრძოლა მოვიგოთ! რასაც ახლა ვუყურებთ, ეს ბრძოლა არ არის! მაინცდამაინც დაჟინებით არც პარლამენტიდან გამოსვლაზე მისაუბრია. ნორმალურად რომ ებრძოლა ოპოზიციას, ეს საჭირო არ იქნებოდა. ბრძოლაში ეს ხელს არანაირად არ შეგვიშლიდა. თუმცა არანაირი სტრატეგია არ არსებობდა. ბრძოლის გარეშე რომ არაფერი გამოდის, კი ვხედავთ.

– როგორ ფიქრობთ, არის შანსი, რომ გვარამია პრეზიდენტმა შეიწყალოს?

– რა გითხრათ, აბა? გააჩნია, რა ზეწოლას მოვახდენთ ჩვენ, ოპოზიცია. ეს ქალბატონი მუდმივად რაღაცას ცდილობს, ვითომ რაღაცა უნდა. გვარამიას საქმე ხომ საერთოდ ხელისგულზეა! ეს ბერკეტი ხომ მის ხელშია. გვარამიას შეწყალება რაღა იყო, შე კაცო, თუ რამის გაკეთება გინდა! არაფრის გამკეთებელი ეს ქალი არ არის! ის ჩვეულებრივი მარიონეტია! თუ არ არის მარიონეტი, გამოვიდეს, დამტკიცოს და შეიწყალოს გვარამია!

მიაქცევდით ყურადღებას მურუსიძის განცხადებას, რომელმაც ბრძანა, მოლაშვილის საქმეს ახლაც ხელს მოვაწერდიო. ამ საკითხმა დამაფიქრა. მურუსიძე ამ სისტემაში აღმოჩნდა პირველ კაცად. თუკი მურუსიძეს აწინაურებ, რომელმაც განცხადება გააკეთა, რომ ხელს მოაწერდა მოლაშვილის საქმეს, მაშინ მე კითხვას ვსვამ ლეგიტიმურს, რისთვის ზის მიხეილ საკაშვილი?! თუ მურუსიძე ისევ ხელს აწერს გირგვლიანის საქმეს, მოლაშვილის საქმეს? ეს ხომ ლოგიკური კითხვაა? და ეს კითხვა მარტო მე არ მიჩნდება. ეს კითხვები ჩვენს დასავლელ პარტნიორებსაც უჩნდებათ. სწორედ ამიტომ არის, რომ ისინი ეჭვის თვალით უყურებენ და თვლიან, რომ საქართველოში მძვინვარებს ოლიგარქატი! სწორედ აქედან არის დასკვნა. დიახ, ივანიშვილი უნდა დასანქცირდეს! იმიტომ, რომ მან ჩვენი ქვეყანა მინი რუსულ გუბერნიად აქცია! ზუსტად ისეთი მმართველობა მიმდინარეობს საქართველოში, როგორიც რუსეთში პუტინს აქვს!

– ქალბატონო თაკო, ოპოზიციაზე ვსაუბრობდით და გასულ კვირას გიორგი ვაშაძე და კიდევ ორი პატარა პარტია გაერთიანდნენ. ისინი სრულ ოპოზიციურ გაერთიანებაზე საუბრობენ. ეს იდეა ნაწილს მოსწონს, დიდი ნაწილი კი აკრიტიკებს გიორგი ვაშაძეს. რას იტყვით თქვენ?

– ყველა თქვენს ინტერვიუში ხომ მუდამ ერთობაზე ვსაუბრობ. თუმცა რა განსხვავებაა ახლა ამ ყველაფერში, მოგახსენებთ. როგორც კი ერთობაზე დაიწყეს საუბარი, ძალიან გამიხარდა, აღვფრთოვანდი და უცებ ამ საუბარს მოჰყვა სიტყვა პრაიმერი. მოდით, ახლა ვისაუბროთ და ავხსნათ, რას ჰქვია პრაიმერი.

– ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, მათ უნდა მივანდოთ არჩევანიო.

– ხომ ყველამ კარგად ვიცით, როგორც ტარდება ეს პრაიმერი. როდესაც, სასამართლოდან დაწყებული, აბსოლუტურად ყველაფერი მიტაცებულია! პრაიმერს ვინ ატარებს? სუსი, ხომ? აბა ვინ ჩაატარებს?! ახლა გამოდიან და ნაციონალური მოძრაობა გაერთიანებას ეწინააღმდეგებაო. მე ახლა მათ კი არ ვიცავ, როცა საჭიროა, ხომ ისმენთ, არც კრიტიკა აკლიათ ჩემგან, მაგრამ ობიექტური მინდა ვიყო. ახლა მუდმივად მცირე პარტიებმა შესთავაზონ, შენ შენი ელექტორატი გამოგვაყენებინე, მიშა არ ახსენოთ, არსად გამოჩნდეთ, ჩვენ პრაიმერს გავაკეთებთ და თავს დავისახელებთ, ამას ხომ ხალხი ხედავს და სირცხვილის გრძნობა ხომ უნდა ჰქონდეთ, არა?! რა უბედურებაა! ხალხს რაში აინტერესებს წინასწარ, თანამდებობებზე ვინ იქნება. ეს არჩევნებზე უნდა ვაჩვენოთ და ამას ხალხი გადაწყვეტს არჩევნებზე!

– ანუ ეს იდეა არც თქვენ არ მოგეწონათ?

– არა! ჯერჯერობით, გამოკითხვის თანახმად, არანაირი პრივილეგია დასახელებულ ადამიანებს შორის არავის არა აქვს.

– საკმაოდ დაბალპროცენტიანი პარტიები არიან.

– ძალიან დაბალი! ნაციონალური მოძრაობაც დაეწიაო. კი ბატონო, ასეა და ეს არის სწორედ ნიკა მელიას უბრძოლველობის ბრალი, რომ შენი ლიდერი ციხეში რომ არის, შენ ასე არ უნდა იქცეოდე. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ამ პატარა პარტიებმა ცოტა ლოგიკას ხომ უნდა მოუხმონ არა?!

– ნაცმოძრაობის რესურსის გამოყენება უნდათ?

– ასე გამოდის. არადა, ზოგიერთი მათგანი ენ-დი-აის კვლებში საერთოდ გამქრალია, ანუ შენ ნაციონალურ მოძრაობას ეუბნები, რომ გავერთიანდეთ, შენი იყოს ყველაფერი და თან მიშას სურათიც არ ასწიოთ. საერთოდ როგორ ხდება ეგ ამბავი, ძალიან მაინტერესებს, ხალხო! მე სულაც არა ვარ ნაციონალური მოძრაობის წევრი, მაგრამ მიყვარს სიმართლის თქმა. არავის პარტიის წევრი არ ვყოფილვარ არასდროს. მე ჩემი პარტია მაქვს. მე ობიექტურად ვაფასებ სიტუაციას. ასე მოქცევა არ შეიძლება.

მე ძალიან გავღიზიანდი და ჩემ გარშემოც ძალიან ბევრი ადამიანი გააღიზიანა სიტყვა პრაიმერმა. ამ ჩრდილოვანი კაბინეტის გადანაწილებამ და უდროოდ საბნის გადაქაჩვამ რაც მოგვიტანა, კარგად დავინახეთ. დაიღალა ხალხი. არ შეიძლება ასე! არჩევნები ვერ ტარდება, საარჩევნო სისტემა არა გვაქვს ნორმალური და, ვერ გავიგე, შენ რა პრაიმერს ატარებ, ან ვის ატარებინებ?! ძალიან არ აინტერესებს ახლა ხალხს, „გირჩი“ და კიდევ დანარჩენი პარტიები რა თანამდებობებს დაიკავებენ! ან ვინ მისცა ამ თანამდებობების ლეგიტიმაცია?! ასეთი ქმედებები პროცესს ანგრევს მთლიანად!

– ანუ ჯერ არდაწყებული პროცესი უკვე დაზიანდა?

– რა თქმა უნდა, სიტყვა პრაიმერის გამოცხადებით პროცესი მთლიანად დაზიანდა. თორემ სიტყვა ერთობის, თამარ ჩარკვიანი უპირველესი მხარდამჭერია. ამის დასტურად მარტო თქვენი ინტერვიუებია საკმარისი. სულ ამას გავიძახი, რომ ძალა ერთობაშია, ოღონდ ასეთში არა, ამათ რომ უნდათ.

– სწორედ ამიტომ ჩნდება ხოლმე მერე ეჭვი და კითხვები, კონკრეტული პარტიები ხელისუფლების თამაშს ხომ არ თამაშობენ?

– არ მინდა ახლა, ასე ღიად ბრალი დავდო, მაგრამ, ბუნებრივია, ხალხს კითხვები უჩნდება. ამას რას აკეთებენო, ბევრმა მკითხა უკვე. სიტყვა პრაიმერი რომ გავიგე, ლამის გული გამისკდა. მერამდენედ უნდა წავიდნენ იმავე წრეზე?! რა პრაიმერი, რამ გადაგრიათ?! რა სიგიჟე იყო ეს?! მე ეს ყველაფერი არ მომწონს. აქედან, გამორიცხულია, არაფერი არ გამოვა!

არჩილ თალაკვაძე ოპოზიციას: „რატომ დაიხიეთ უკან, რატომ აღარ გინდათ, რომ ოლიგარქიის რეგულირებაზე მივიღოთ კანონმდებლობა?“

– დეოლიგარქიზაციის კანონპროექტის მიღება საფრთხეს უქმნიდა ისევ რადიკალურ ოპოზიციას და სწორედ კულისებიდან დაგიქნიეს ჯოხი და შეგაცვლევინეს რიტორიკა და გითხრეს, რომ ცოტა სხვა წინადადებებით გესაუბრათ ამ კანონებზე, – ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერმა არჩილ თალაკვაძემ პარლამენტში „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის განხილვის დროს ოპოზიციისთვის მიმართვისას განაცხადა.

არჩილ თალაკვაძის განცხადებით, ოპოზიციამ პოტენციური ოლიგარქები საკუთარ რიგებში დაინახა და სწორედ ამიტომ აღარ უჭერენ მხარს „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონს.

– სინამდვილეში რატომ დაიხიეთ უკან, რატომ აღარ გინდათ დღეს, რომ ოლიგარქიის რეგულირებაზე მივიღოთ კანონმდებლობა? როდესაც საქმიანი პროცესი დაიწყო, რიტორიკული განცხადებების შემდეგ ჩვენ გამოვხატეთ მზადყოფნა და თქვენ როდესაც პირველად წაიკითხეთ კანონპროექტი, შეიძლება თქვენ ვერ აღმოაჩინეთ, მაგრამ თქვენმა პოტენციურმა დამფინანსებლებმა, კულისებიდან არაფორმალურად რომ მართავენ რადიკალურ ოპოზიციას და თქვენთან აფილირებულ ტელევიზიებს, მაგათ აღმოაჩინეს, რომ ამ კანონპროექტის მიღება საფრთხეს უქმნიდა ისევ რადიკალურ ოპოზიციას, სწორედ კულისებიდან დაგიქნიეს ჯოხი და შეგაცვლევინეს რიტორიკა და გითხრეს, რომ ცოტა სხვა წინადადებებით გესაუბრათ ამ კანონებზე.

ეს არის სიმართლე, თქვენ დაინახეთ პოტენციური ოლიგარქები თქვენს რიგებში და ამიტომ დაიხიეთ უკან იმიტომ, რომ კარგად იცით, რომ ეს კანონი როცა იქნება მიღებული, იმის ალბათობა, რომ სწორედ თქვენს პარტიებში დახარჯულ უკანონო ფულს, თქვენს უკანონო გავლენებს ტელევიზიებში, არის უდიდესი, ამის შეგეშინდათ და ამიტომ დაიხიეთ უკან, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ანრი ოხანაშვილი: „თურმე მეცენატობა ნიშნავს ოლიგარქიას“

– თურმე მეცენატობა ნიშნავს ოლიგარქიას. ეს მორიგი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე მსჯელობაა, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ანრი ოხანაშვილმა პლენარულ სესიაზე განაცხადა, სადაც გუშინ პირველი მოსმენით „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა გაიმართა.

ოხანაშვილის შეფასებით, საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას სთავაზობს, „არა სისტემურად გამართულ კანონპროექტს, არამედ ცალკეულ პირებზე ორიენტირებულ მიდგომას“.

– ადამიანი, რომელიც ქველმოქმედებით და მეცენატობით არის დაკავებული, რაც არ უნდა ცალკეულ პირებს ინტერესი ჰქონდეთ მისი ოლიგარქად მიჩნევის, უკრაინული მოდელი იმ კრიტერიუმებზე დაფუძნებით, რომელიც უკრაინამ შეიმუშავა, არ ითვალისწინებს ასეთი პირის ოლიგარქად მიჩნევას. ამიტომ, უკრაინული მოდელით ბიძინა ივანიშვილი ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ვერ იქნება მიჩნეული ოლიგარქად, – განაცხადა ოხანაშვილმა კანონპროექტის წარდგენისას.

გორში მასწავლებლებმა ერთმანეთი თმით ითრიეს

გორში მასწავლებლებმა ერთმანეთი ცემეს. დაპირისპირება პედაგოგებს შორის მესამე საჯარო სკოლაში მოხდა.

ინციდენტის შემდეგ ერთ-ერთ პედაგოგს სკოლა დაატოვებინეს, თუმცა თეა კეჩხუაშვილმა განმარტებები დირექტორისგან, ვახტანგ სუხიტაშვილისგან, მოითხოვა.

საქმის გარკვევას კი სკოლაში კიდევ ერთი ჩხუბი და ადგილზე საპატრულო პოლიციის გამოძახება მოჰყვა.

თეა კეჩხუაშვილი ამბობს, რომ ის უსამართლოდ გაათავისუფლეს. ის იმ დროს დაადანაშაულეს ძალადობაში, როცა ძალადობის მსხვერპლი კოლეგისგან თავად გახდა.

– შეკრიბა, ცალკე ოთახში გაიყვანა კომისიის წევრები, სასწრაფოდ დააწერინა აქტი და ისე, რომ არავინ გააფრთხილა, ატვირთა გათავისუფლება.

ფიზიკური შეურაცხყოფა არის დასჯადი, ხომ? იყო პატრული და წავიდა. თუ იყო ფიზიკური შეურაცხყოფა, რატომ ვარ მე თავისუფალი? რატომ არ ვარ საგამოძიებოში?

დირექტორი კიდევ ერთხელ იტყუება, – ამბობს გათავისუფლებული პედაგოგი თეა კეჩხუაშვილი.

გორის მესამე საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებით, თეა კეჩხუაშვილი მას შეუვარდა კაბინეტში, დაამტვრია ინვენტარი, სხვადასხვა ნივთს ხელი ურტყა, მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამ დროს კი ოთახში ბულალტერი იმყოფებოდა.

ფიზიკური აღზრდის პედაგოგი, თეა კეჩხუაშვილი, აპირებს, სკოლის დირექტორის წინააღმდეგ სამართლებრივი დავა დაიწყოს.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გაფრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციაში ბრეჟნევის უძრაობის ხანა დგას“

სოსო ცინცაძე: „გახარია თუ ასე დაემალება ყველასა და ყველაფერს, ის შედეგი, რომელიც ამ არჩევნებზე დადო, სანატრელი გაუხდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ოპოზიცია რამდენად შეძლებს გაერთიანებას, საერთო საარჩევნო სიის ფორმირებას?

– არა, ეს ზღაპარია. არანაირი გაერთიანება არ იქნება, ან იქნება ისეთი გაერთიანება, რომელიც არაერთხელ გვინახავს, კვაზი გაერთიანება, რომელიც მეორე დღეს იშლება. ოპოზიციურ ფლანგზე არსებობს ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ჰყავს თავისი მყარი ამომრჩეველი და პატარ-პატარა პარტიები, რომელთა რეიტინგი სულ რამდენიმე პროცენტს შეადგენს.

არ არის მარტივი მდგომარეობა. გასაგებია, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ უნდა, ისევ გამწევი ორთქლმავლის როლი იტვირთოს და საარჩევნო სიაში ჩასვას ის ხალხი, რომლებიც თავიანთი რეიტინგით ვერასდროს ვერ მოხვდებიან პარლამენტში. ეს ხალხი არც ინტელექტუალური შენაძენია ნაციონალებისთვის, არც ელექტორალური და არც არანაირი. ამიტომ ჩემთვის სრულიად გასაგებია ნიკა მელიას პოზიცია, რომელიც კბილებით იცავს პარტიის ინტერესებს და ცდილობს, საერთო იდეის ირგვლივ დამოუკიდებლად იბრძოლოს.

– მაგრამ ნაციონალური მოძრაობა დამოუკიდებლად ხომ ვერ დაამარცხებს „ქართულ ოცნებას“?

– ვერ დაამარცხებს და ამიტომ იკვრება ის მოჯადოებული წრე, რომელიც ვერა და ვერ გაარღვიეს. გიორგი ვაშაძის, ზურა ჯაფარიძისა და ელენე ხოშტარიას იდეა გასაგებია. ისინი ხვდებიან, რომ დამოუკიდებლად ვერაფერს გახდებიან, ძალიან გაუჭირდებათ. ამიტომ ბრძოლის გაგრძელებას ერთად რომ აპირებენ, ეს მათი მხრიდან სწორია, მაგრამ პარტიებს, რომელთა რეიტინგი ნულს ვეღარ სცილდება, ნაციონალური მოძრაობა არ აიკიდებს. ასეთ პატარა ქვეყანაში 200-ზე მეტი პარტია რომ არსებობს, აქედან იწყება ყველაფერი. მხარდამჭერები და ელექტორალური ბაზა კი არა, ზოგიერთ პარტიას მისამართიც კი არა აქვს, ოფისი არა აქვს, ლიდერის საცხოვრებელ ბინაშია რეგისტრირებული. ლიდერები, იცოცხლე, იმდენნი არიან, მათ რა გამოლევს. ან ამ ხალხის გაერთიანება როგორ მოხდება, როდესაც ყველა ნომერ პირველია, მეორე არავინ არის. ესენი შეთანხმდებიან საერთო სიაზე ან პრემიერის კანდიდატზე.

– პარლამენტის დატოვების იდეაც განიხილება. ვაშაძე არ გამორიცხავს, რომ პარლამენტი დატოვოს. დატოვებენ?

– გამორიცხულია. ვაშაძე კი ამბობს, დავტოვებო, მაგრამ დანარჩენები რას ამბობენ, მანდატი გვჭირდება დასავლეთთან სასაუბრო. არა, არავინ არ დატოვებს პარლამენტს და სწორიც არის, რა უნდა შეიცვალოს ამ დარჩენილ დროში, რომ დატოვონ.

– ამბობენ, პოლიტიკურ კრიზისს შევქმნითო.

– ვერ შექმნიან. ასე მარტივი არ არის პოლიტიკური კრიზისის შექმნა, რადგან ამან უკვე საქართველოში ქრონიკული სახე მიიღო. ყველა შეეჩვია, როგორც ნორმას. პოლიტიკური კრიზისია ინგლისში. ლამის კვირაში ერთხელ იცვლება პრემიერი. დიდ ბრიტანეთში „დემოკრატიული პარტია“ პოლიტიკურ კრიზისს განიცდის ნამდვილად, რეალური ლიდერი არ ჰყავთ.

– არჩევნებამდე ტექტონიკური ცვლილებები, ისეთი, როგორიც, მაგალითად, გიორგი გახარიას გადადგომა იყო, მოსალოდნელია?

– ვერაფერს გეტყვით, რადგან ჩვენ საქართველოზე ვსაუბრობთ, სადაც ორ საათში შეიძლება ისეთი რაღაც მოხდეს, ყველაფერი თავდაყირა დადგეს.

თქვენ გახარია ახსენეთ. თუ გახარია ასე დაემალება ყველასა და ყველაფერს, თუ არ გამოჩნდება, ინტერვიუებს არ მისცემს, თავის პოზიციას არ გააცნობს საზოგადოებას, ყველას დაავიწყდება და ის შედეგი, რომელიც ამ არჩევნებზე დადო, სანატრელი გაუხდება. გახარიამ სიახლის, ერთგვარი მოლოდინის რეჟიმის ეფექტი დაკარგა.

– ცოტა ხნის წინ ამერიკაში ვიზიტით იყო. გამოდის, არაფერი აქვს სათქმელი?

– ამერიკაში ტურისტული ვიზიტითაც შეიძლება ჩახვიდე. რა აქტივებით ჩამოვიდა, ვის შეხვდა, როგორია განწყობები მისდამი, რა ხედვები ჩამოიტანა, ამაზე საუბარი საინტერესო იქნებოდა სწორედ მისი მხრიდან, მაგრამ ისევ დუმს.

– გააქტიურება რამდენად არის მოსალოდნელი?

– თუ რამე კრეატიული არ შესთავაზა საზოგადოებას, თუ არ გააქტიურდა და ასე დამალული იქნება, როგორც გითხარით, ძალიან გაუჭირდება არჩევნებზე შედეგების მიღება.

ზოგადად, ოპოზიცია გაყინულია. არავითარი სიახლე არც ტაქტიკაში, არც იდეოლოგიაში, არც გადაწყვეტილებებში. ოპოზიციაში ბრეჟნევის უძრაობის ხანა დგას, „ზასტოის“ რომ ეძახდნენ. ღვინის ჭიქაშიც კი არა, არყის ჭიქაში ატეხილი პატარ-პატარა ქარიშხლები არაფერს არ მოუტანთ. როდესაც არა გაქვს გავლენა, გასაგებია, მმართველი პარტიაც ანგარიშს არ გიწევს, პოლიტიკა ქველმოქმედება ხომ არ არის. სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ, გააანალიზონ და ისე უნდა იმოქმედონ, თუ რამეს აპირებენ.

„ნაცხელისუფლების დროს 10 ათასზე მეტ ბიზნესმენს ბიზნესი წაართვეს“

დათო ლორთქიფანიძე: „კაკო ბობოხიძის განცხადება არის პირდაპირი აღიარება, რომ მათ დროს იყო ძალადობა, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, უსამართლობა, უკანონობა“

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

გულიკო ბალაძე

– ბატონო დათო, ნაცმოძრაობის ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აკაკი ბობოხიძემ განაცხადა, რომ მათი მმართველობის დროს იყო ავტორიტარიზმი და ძალაზე დამყარებული წესრიგი, ვცდილობდით, ქართველი ხალხი წესრიგისთვის შეგვეჩვია არა აღზრდის, არამედ მოთხოვნის გზითო. როგორ აფასებთ აღნიშნულ განცხადებას?

– რაც კაკომ თქვა, პირდაპირი აღიარებაა იმისა, რაც მათი ხელისუფლების დროს ქვეყანაში ხდებოდა. ნამდვილად იყო ძალადობა, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, უსამართლობა, უკანონობა. 10 ათასზე მეტ ბიზნესმენს ბიზნესი წაართვეს და ქვეყანაში 400 ათასზე მეტი სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. 300 ათასზე მეტი პრობაციონერი ჰყავდათ. როგორ შეიძლებოდა, დემოკრატია, წესრიგი და სამართლიანობა ყოფილიყო.

ბობოხიძის განცხადება პირდაპირი აღიარებაა. არ ვიცი, შემდეგ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ამას რა სტატუსს მოუძებნიან. ალბათ, თვითონ კაკოც შეეცდება, სხვა ფორმით წარმოაჩინოს, რადგან, რაც აღიარა, ის მათ კარგ მომავალს არ უქადის.

– ახლა ბობოხიძე ნაცმოძრაობაში არ არის და, შეიძლება, არ ანაღვლებს, მის განცხადებას რა მოჰყვება.

– გასაგებია, მაგრამ ის იყო ნაცმოძრაობის აქტიური წარმომადგენელი, პარლამენტის წევრი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი, იმერეთის გუბერნატორი, გვარდიის ხელმძღვანელი, ანუ კაკო წარმოადგენდა ნაცმოძრაობის სახეს. ამიტომ ინფორმაციის დეფიციტი ნამდვილად არა აქვს. ეს რატომ თქვა, არ ვიცი, მაგრამ მის ნათქვამს ვიზიარებ. საკითხს ცოტა იუმორით თუ მივუდგებით, ამის შემდეგ მე ველოდები, რომ კაკო ეკლესიისკენ მიმავალ გზას დაადგება.

– თუ დადგება ის მომენტი, რომ ნაცხელისუფლებას სისტემურ დანაშაულებზე ბრალი წაუყენონ, მტკიცებულებად გამოდგება ზურაბ ჟვანიას მეუღლის ნინო ქადაგიძის განცხადება, რომ 2005 წელს ერთხელ მათთან შეკრებილი იყვნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, საკაშვილი და ამბობდნენ, ქონებას იმას ჩამოვართმევთ, ამას ჩამოვართმევთ და, თუ არ მოგვცემენ, ციხეში ჩავსვამთო?

– ან მოვკლავთო.

– ეს არ უთქვამს, მაგრამ ნინო ქადაგიძე ოქროს მოწმეა, რომელმაც თავისი ყურით მოისმინა, როგორ გეგმავდნენ საკაშვილი და მისი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები გარკვეული პირებისთვის ქონების ჩამორთმევას.

– გეგმავდნენ და შემდეგ ახორციელებდნენ კიდეც. ნინო ძალიან გონიერი ქალბატონია. მე მას ძალიან კარგად ვიცნობ. ნინოსაგან ტყუილი გამორიცხულია. უბრალოდ, ცოტა გვიანი ხომ არ არის ახლა მისი აღიარება.

2004 წლის პერიოდიდან მოყოლებული, ამას ვაცხადებდი. არ დამიმალავს, რომ საქართველოს ეროვნული ზარაფხანის გენერალური დირექტორი ვიყავი და რომ ვერ მომხსნეს, მათ ნება-სურვილებს არ დავემორჩილე, შვებულების დროს გამათავისუფლეს, საქართველოს ეროვნულ ზარაფხანაში კი ახალი დირექტორი კობა ნაყოფია მიიყვანეს. ამიტომ, რასაც დღეს ამბობენ, ყველაფერი რეალობაა.

10 ათას კაცს ბიზნესი წაართვეს და გაანულეს. ბიზნესი კი არ გამქრალა, თვითონ წაიღეს და საქართველოს მოქალაქეებზე 400 ათასზე მეტი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ქვეყანა ერთ დიდ „კრიმინალურ“ სინდიკატად აქციეს იმ გაგებით, რომ მერე ამ ადამიანებს ადვილად მართავდნენ.

მახსოვს ცნობილი ღამის 2-3 საათზე წართმეული ქონება, როდესაც ადამიანებს „სურვილი უჩნდებოდათ“, რატომღაც ღამის 2-3 საათზე გინტურის სანოტარო კანტორაში მისულიყვნენ და ქონება გადაეფორმებინათ. არაერთი ადამიანი შეიწირეს, რომლებიც ციხეში დაუმსახურებლად მოხვდნენ, სადაც იმდენი ავადმყოფობა დაემართათ, რომ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

სააკაშვილის ციხეებში აბსოლუტური უკონტროლობა სუფევდა. ჯანდაცვის არანაირი საშუალება არ იყო, ყველაფერი მიგდებული გახლდათ. ერთ საკანში ნორმით გათვალისწინებულზე 10-ჯერ და 15-ჯერ მეტი პატიმარი ჰყავდათ.

მახსოვს, ბიზნესმენი ზაალ ჟვანია ციხეში მიღებული ტრავმების, დაზიანებების გამო გარდაიცვალა. იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მოასწრეს და საქართველოდან გაიქცნენ, თავს სხვა ქვეყნებს აფარებდნენ და არაადამიანურ პირობებში ცხოვრობდნენ.

მახსენდება ყოფილი პარლამენტის წევრი ზურაბ ანდრიაძე, რომელიც იძულებული გახადეს, გაქცეულიყო, მოგონილი ბრალდებებით დაჭერას უპირებდნენ. წლების განმავლობაში გადახვეწილი გახლდათ. ის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაიღუპა.

მახსენდება საქაერონავიგაციის ხელმძღვანელი ზურაბ ჭანკვეტაძე, რომელიც აბსოლუტურად (მე გეუბნებით ცნობილ პიროვნებებზე) დაუმსახურებლად დაიჭირეს. სტრასბურის სასამართლომ როცა გაამართლა, ის უკვე ერთი კვირის გარდაცვლილი იყო.

ელემენტარულ ამბავს გეტყვით – კომპანია „9 წყარო“ იყო, რომელიც გუდაურის წყლების ლიცენზიას ფლობდა გუდაურის წყლების მოპოვებასა მოხმარებაზე. გუდაური ბიდარასა და ნავროზას წყლებით უნდა მომარაგებულიყო. გუდაურში ასეთი სახელის წყლებია. კომპანია „9 წყაროს“ მფლობელი ბიზნესმენი თამაზ სეთურიძე იყო, რომელიც 20-წლიანი ლიცენზიის მფლობელი გახლდათ. მან გარკვეული ხარჯი გასწია, სასტუმროებთან ხელშეკრულება გააფორმა, ამ წყლით გუდაური რომ მომარაგებულიყო და მრიცხველები დაეყენებინათ.

საუბარი გახლდათ 20 ლიტრი წამში წყლის ეფექტზე, წარმოგიდგენიათ? მისი ტარიფი 1 კუბური მეტრი წყალი 20 ლარი იყო. წარმოიდგინეთ, წამში 20 ლიტრი წუთში რამდენი იქნება. საუბარია მილიონებზე. 1 თვეში ამ კაცს ჩამოართვეს ლიცენზია. მაშინ გარემოს დაცვის მინისტრი – პაპუაშვილი, ხოლო პროკურორი ადეიშვილი იყო და კინაღამ დაიჭირეს.

ეს ამბავი რომ გაეპრავებინათ, გახსოვთ ალბათ ცნობილი ამბავი, გუდაური თბილისის მუნიციპალიტეტს რომ მიუერთეს. წარმოუდგენელი რამ გააკეთეს. მაშინ ამ ლიცენზიის რაღაც ნაწილი ვითომ გაყიდეს, 10 ლ/წამში ხომ ჰქონდა სეთურიძეს, ამათ 8 ლიტრი წამში გააკეთეს და გააპრავეს. სეთურიძემ დღემდე ეს ბიზნესი ვერ დაიბრუნა.

სტრასბურის სასამართლოში შეიტანა სარჩელი, სადაც მაშინ ნაცების წარმომადგენლები იყვნენ საქმის კურსში ამ საქმესთან დაკავშირებით და ჯერჯერობით ვერაფერი მიიღო. ასეთი გახლდათ სააკაშვილის ნაცხელისუფლება.

– ახლა ბობოხიძე სხვა პარტიის წარმომადგენელია.

– ბობოხიძეს საუკუნეა ვიცნობ. რომელი პარტიის მიმდევარიც არ უნდა იყოს, მას თავისი პოლიტიკური ბეგრაუნდი აქვს, მაგრამ, თუ რამეში ხელი აქვს გასვრილი, პასუხისგება მასაც მოუწევს. მორალურად რომ პასუხისმგებელია იმაზე, რასაც მისი ხელისუფლება აკეთებდა, ორი აზრი არ არსებობს.

– ხომ ცნობილია და თქვენც ამბობთ, რომ ბიზნესმენებისთვის ჩამორთმეული ქონება ნაცმოძრაობის „ნაღებმა“ წევრებმა დაინაწილეს. ხომ არ არის თქვენთვის ცნობილი, შემდეგ გენერალურ პროკურატურაში შექმნილმა სპეციალურმა დეპარტამენტმა რამდენ ნაცს დააბრუნებინა წართმეული ბიზნესი?

– გვარითა და სახელით იდენტიფიცირებული არა მაქვს, მაგრამ, თუ არ ვცდები, ნაციონალების მიერ ჩამორთმეული 10 მილიონის ქონება დაუბრუნდა საქართველოს მოსახლეობას. თუმცა ეს ზღვაში წვეთია, რადგან ამ ადამიანებმა 10 ათასამდე ისეთი ბიზნესი გაანულეს, რომელიც ფულს წერდა, შემოსავალი ჰქონდა. ის ადამიანები შემოსავალს იღებდნენ, ამ შემოსავლის ნაწილს ბიუჯეტში იხდიდნენ და ბიზნესები ნაცებმა გადაიფორმეს.

ამის ჩამდენი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან და არ მიკვირს, აკაკი ბობოხიძემ ასეთი რაღაც რომ თქვა, მაგრამ, რატომ თქვა, ეს ნამდვილად მიკვირს.

– ამის ჩამდენი ძალა, წლებია, კვლავ ხელისუფლებაში მოსვლისთვის იბრძვის.

– თუ ნაციონალების ხელისუფლების დაბრუნების მზაობა იქნება, როგორც იტყვიან, ახია ჩვენზე, მაგრამ მე ჩვენს ამომრჩეველზე ძალიან მაღალი შეხედულების ვარ, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. ამას არ დაუშვებენ. უბრალოდ, არ უნდა შექმნილიყო ისეთი სიტუაცია, რომ მათ უკან დაბრუნების პრეტენზია ჰქონოდათ.

– ბობოხიძემ თქვა, ჩვენ წესრიგი გვინდოდა დაგვემყარებინა არა ხალხის აღზრდის გზითო, რამაც გამახსენა მათ მიერ წარმოდგენილი კომუნისტური ლოზინგის („ახალი ადამიანის აღზრდა“) რემიქსირებული ვარიანტის საქართველოში განხორციელების გეგმა, ანუ ისინი აცხადებდნენ, „ახალი ქართველი“ უნდა შევქმნათო.

– შექმნეს კიდეც „ახალი ქართველები“, რომლებიც დღეს ბობოქრობენ. ეს ის მასაა, რომელიც ნაცხელისუფლებას მისტირის.

– სხვათა შორის, „ახალ ქართველებში“ მოიაზრებდნენ და თავიანთი მყარი ამომრჩევლის შექმნას ცდილობდნენ, უცხოელებს, მაგალითად, ბურებსა და სხვებს, რომლებსაც ასახლებდნენ და მიწებს ურიგებდნენ. იმ პრობლემების შემდეგ, რომლებიც მათ შეუქმნეს ქვეყანას, პოლიტიკიდან რატომ არ გადიან?

– მათ დაუსჯელობის განცდა აქვთ. ეს ჩვენი ხელისუფლების მინუსია. ნაცმოძრაობა დღეს თავს არადისკრიმინირებულად გრძნობს. ამიტომ აქვთ პრეტენზიები. მათ არა აქვთ არც მორალური და არც სამართლებრივი საფუძვლები, ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია ჰქონდეთ. არადა, პრეტენზია აქვთ, რადგან სათანადოდ არ დაისაჯნენ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის.

– რას უნდა ველოდოთ ამ კუთხით მომავალში? საქმე იმ კონდიციამდე ხომ არ მივა, რომ მათ მიერ ჩადენილ სისტემური დანაშაულებზე სამართლებრივ-პოლიტიკური რეაგირება მოხდეს და გარკვეულ ნაწილს პოლიტიკური საქმიანობაც აეკრძალოს?

– ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო. იმ 10-მა წელმა, რა დროსაც სხვა ხელისუფლება მართავდა ქვეყანას, ამ ადამიანებს ვერაფერი ასწავლა. პირიქით, ხელისუფლებას სისუსტეში, მოსახლეობას ნიჰილიზმში, სამართალდამცავებს გულგრილობაში ჩაუთვალეს და, რატომაც არა, ხელისუფლებაში დაბრუნებას ისევ შეეცდებიან. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, მათ მიმართ სამართლებრივი ნორმების ამოქმედების აუცილებლობა დადგეს. რაც დრო გავა, დაუსჯელობის სინდრომი მათ ფრთებს შეასხამს. ეგენი ისე გააკეთებენ, როგორც იტყვიან, თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.

რა პროცესებია მოსალოდნელი საქართველოს საზღვართან

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი გვერდს უვლის ისეთ მოვლენაზე მსჯელობას, როგორიცაა რუსეთის ფედერაციის შესაძლო დაყოფა სახელმწიფოებად. საქართველოს პოლიტიკური ოპოზიციის პოლიტიკური კრედო, ფაქტობრივად, დაიყვანება განცხადებამდე: „პარლამენტში ამ პრორუსებთან არ დავჯდები. პარლამენტი შეიძლება დავტოვო“.

რუსეთის შესაძლო დაყოფის სცენარს მინიმუმ რამდენიმე სახელმწიფოდ მსოფლიოში ბოლო თვეების განმავლობაში უფრო აქტიურად განიხილავენ. ამას ბიძგი მისცა რუსეთის შეჭრამ უკრაინაში და ანტისაომარი განწყობების გაღვივებამ რუსეთის ფედერაციაში, განსაკუთრებით, ავტონომიურ რესპუბლიკებში. მოსკოვისგან თავის დაღწევის მთავარ ფიგურანტებად და გათავისუფლების პრეტენდენტებად ითვლებიან საქართველოს მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები.

ევროპაში ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „რუსეთის თავისუფალ ხალხთა ფორუმები“. ოქტომბერში კიევში დამფუძნებელ ყრილობაზე შეიკრიბნენ „კავკასიის ანექსირებული ხალხები“.



პოლ გობლი: „საბჭოთა კავშირის დაშლასაც არ ელოდნენ“

უკრაინის უმაღლესმა რადამ შეიძლება დაღესტანიც დროებით ოკუპირებულად აღიაროს?

ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყალიბდება დაღესტნის ბატალიონი. იმამ შამილის სახელობის დაღესტნური ბატალიონი უკრაინაში უკრაინის თავდაცვაში ჩაერთვება. მისი მეთაური მუჰამედ სეიპულაევი აცხადებს, რომ ეს არის იმ ბრძოლის გაგრძელება, რომელიც ათი-თხუთმეტი წლის წინ დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ უკრაინელების მხარეს ომში იბრძვის რამდენიმე ჩეჩნური ბატალიონი. მათ შორის არიან ევროპიდან ჩასული მებრძოლები.

არ არის გამორიცხული, რომ უკრაინის უმაღლესმა რადამ მალე რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულად დაღესტანიც აღიაროს. უკრაინის პარლამენტში მუშაობს ფრაქციათაშორისი ჯგუფი „თავისუფალი კავკასიისათვის“.

დაახლოებით სამი კვირის წინ რადამ ოკუპირებულად ცნო ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია. შესაბამის კანონში იჩქერია აღიარებულია რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულად. დოკუმენტში დაგმობილია ჩეჩნების გენოციდი ორი ომის დროს. უკრაინის პარლამენტმა მიუთითა, რომ ეს გენოციდი არის ცარიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების (დეპორტაცია) დანაშაულების გაგრძელება. უკრაინის რადამ მოუწოდა გაეროს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ რუსეთის ფედერაციის მიერ ჩეჩნეთის ომების დროს ჩადენილი დანაშაულების მიუკერძოებელი გამოძიება და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა.

– ჩვენთვის ახლა მთავარია, უკრაინელებთან ერთად დავამარცხოთ ეს მონსტრი. თუ რუსეთი უკრაინასთან ომს წააგებს, ჩეჩნეთის დეოკუპაცია რამდენიმე დღის საქმეა, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში დევნილმა პრემიერმა ახმედ ზაკაევმა.

რუსეთის შესაძლო დაშლაზე „რადიო სვობოდას“ კავკასიური განყოფილებაც ამახვილებს ყურადღებას და ექსპერტებს ესაუბრება.

„პუტინი დაშლას აჩქარებს“

აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტი რუსეთის საკითხებში პოლ გობლი აღნიშნავს, რომ ტერიტორიები შეიძლება გათავისუფლდნენ იმ შემთხვევაში, თუ მათი მოსახლეობა მზადაა გადაიხადოს იმპერიასთან ურთიერთობის გაწყვეტის ფასი. თუ ადამიანები დამოუკიდებლობას კეთილდღეობაზე მეტად აფასებენ, მაშინ ისინი საფასურს გადაიხდიან. ექსპერტის დასკვნით, აშშ-ში რუსეთის დანაწევრების განცხადებებს, უმეტესად, სერიოზულად არ უყურებენ, თუმცა შეიძლება ვითარება შეიცვალოს.

პოლ გობლი:

– აშშ-ის ოფიციალური პირებიდან ცოტა თუ აღიქვამს სერიოზულად დიასპორების წარმომადგენლების განცხადებებს რუსეთის დაშლის თაობაზე, მაგრამ, უნდა გავიხსენოთ, რომ იგივე ხდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე რამდენიმე თვით ადრე და რამდენიმე კვირით ადრეც კი. მგონია, რომ ეს აღქმა შეიცვლება. პუტინი დაშლას აჩქარებს. მისი მოქმედებები – ეს არ არის საბჭოთა კავშირის აღდგენა. ეს არის იმ პირობების აღდგენა, რომლებმაც მისი დაშლა გამოიწვია.

უკრაინელი ექსპერტი მიხეილ სავა რუსეთის რესპუბლიკების გათავისუფლების წინაპირობას რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ჩამოშლაში ხედავს. მისი თქმით, ემიგრაციის ლიდერები ამაზე გავლენას ვერ მოახდენენ.

მიხეილ სავა:

– ფედერალური ხელისუფლების გაქრობა შესაძლებელია არაკონტროლირებადი მასობრივი პროტესტით მოსკოვში ან შიდაპოლიტიკური ბრძოლით, რაც გამოიწვევს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების დამბლას. ემიგრანტებს, რომლებიც პოზიციონირებენ, როგორც რუსეთის ეთნოსების ლიდერები, დასავლეთთან დიალოგისათვის ძალიან ცოტა პარტნიორი ჰყავთ.

რუსეთის დაშლას სკეპტიკურად უყურებს ამერიკელი მკვლევარი ელიზა ჯულიანოც, თუმცა მომავალში ის არაფერს გამორიცხავს.

ელიზა ჯულიანო:

– აშშ მხარს არ უჭერდა ოპოზიციურ მოძრაობებს რუსეთის ეთნიკურ რესპუბლიკებში ჩეჩნეთის ორი ომის დროს. აშშ აკრიტი-

კებდა რუსეთის მთავრობის მოქმედებებს, მაგრამ არ უწყობდა ხელს რუსეთიდან ეთნიკური რესპუბლიკების გამოყოფას. ჩეჩნური დიასპორის ხმები ომის წინააღმდეგ უერთდება იმ ევროპელების ხმებს, რომლებიც გამოდიან უკრაინაში რუსეთის დანაშაულების წინააღმდეგ. ეთნიკური მოსახლეობის პოლიტიკური განწყობები მკაფიო არ არის. სავსებით შესაძლებელია, რომ იქ ადამიანები გამოდიოდნენ ომის წინააღმდეგ, მაგრამ აგრძელებდნენ პუტინის მხარდაჭერას. რუსეთის დაშლა ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ შეუძლებელია წინასწარმეტყველება, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მიმდინარე მოვლენებს.

უკრაინაში დაღუპული ქართველი სამხედრო ლევან სახელაშვილია

უკრაინაში დაღუპული 24-ე ქართველი სამხედრო ლევან სახელაშვილია. ინფორმაცია ქართველმა მებრძოლებმა გაავრცელეს. ჯერჯერობით უცნობია, სად და რა ვითარებაში დაიღუპა სახელაშვილი.

ვის ეკუთვნის კომპანია, რომელიც „გოცირიძისა“ და „ვარკეთილის“ მეტროსადგურების სამუშაოებს ახორციელებს

მეტროსადგურ „გოცირიძის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგვიანების გამო ტენდერში გამარჯვებული კომპანია „მამისონი“ 600 ათას ლარამდე დაჯარიმდა. ამის შესახებ განცხადება გუშინ დედაქალაქის მერმა და ვიცემერმა გააკეთეს.

მათივე ცნობით, სწორედ აღნიშნული კომპანიაა გამარჯვებული „ვარკეთილის“ მეტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულ შესყიდვაში.

– „შპს „მამისონს“ მეტროსადგურ „გოცირიძესთან“ დაკავშირებით სოლიდური ჯარიმა აქვს გამოწერილი, 600 ათას ლარამდე. მნიშვნელოვანი დაგვიანება აქვს. უკვე დაახლოებით, 4-5 თვეა დაგვიანება, რაც მიუღებელი და ძალიან ცუდია, რადგან საქმე ეხება მეტროსადგურს, რომელიც ამის გამო მგზავრებს ვერ ემსახურება.

რაც შეეხება „ვარკეთილის“ მეტროსადგურში სამუშაოებს, ტენდერში გამარჯვებული კომპანია იქაც „მამისონია“. ამასთან დაკავშირებით სჯობს მერს დაუსვათ კითხვა. ცხადია, გარკვეული გადაწყვეტილებები იქნება

მისაღები ამ კომპანიასთან მიმართებით, – აღნიშნა თბილისის ვიცემერმა ირაკლი ხმალაძემ.

რეესტრის ამონაწერით, შპს „მამისონის“ 100%-იანი წილის მფლობელი შპს „ევორდ ჰოლდინგია“, თავის მხრივ, „ევორდ ჰოლდინგის“ მესაკუთრე კი ნიკოლოზ ჭკადუაა.

ამასთან, ვებგვერდ „ტენდერების მონიტორის“, მონაცემებით, „მამისონს“ ჯამში 216 ტენდერში აქვს მონაწილეობა მიღებული, აქედან 33.8% მოგებული აქვს, 59.3% კი – წაგებული. აღსანიშნავია, რომ მოგებული კონტრაქტების ღირებულება 187.208.870 ლარს შეადგენს.

საქართველოში ხორცის იმპორტი ისტორიულ მაქსიმუმზეა

საქართველოში ხორცის იმპორტი მკვეთრად იზრდება. საქსტატის თანახმად, 2022 წლის 9 თვეში ქვეყანაში 112.9 მლნ აშშ დოლარის ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები შემოვიდა, რაც რეკორდული ნიშნულია და წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს, 92.3 მლნ-ს, 22.4%-ით აღემატება.

წინა წელთან შედარებით, 61.6%-ით გაიზარდა ექსპორტიც და მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში 31.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება საიმპორტო ქვეყნებს, ჩამონათვალში პირველ ადგილზე ბრაზილიაა, საიდანაც 40 მლნ აშშ დოლარზე მეტის პროდუქცია შემოვიტანეთ, მეორე ადგილზე თურქეთია თითქმის 13 მლნ-ით, მესამეზე კი ჩინეთი 9.7 მლნ დოლარით.

რაც შეეხება ექსპორტს, 3 უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები სომხეთი (13.4 მლნ), თურქმენეთი (7.8 მლნ) და აზერბაიჯანი (5.4 მლნ) არიან.

რუსეთი „მარცვლეულის შეთანხმებას“ უბრუნდება – ბირჟაზე ხორბლის ფასი კვლავ დაეცა

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რუსეთი „მარცვლეულის შეთანხმებაში“ მონაწილეობას განაახლებს.

სერგეი შოიგუს უწყებაში განმარტავენ, რომ ჰუმანიტარული დერეფნისა და უკრაინის პორტების რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ „სამხედრო ოპერაციების“ ჩატარების გამოუყენებლობის შესახებ საჭირო წერილობითი გარანტიების მიღება ოფიციალური კიევისგან შესაძლებელი გახდა.

„რუსეთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ ამ მომენტში მიღებული გარანტიები საკმარისად გამოიყურება და განაახლებს ხელშეკრულების შესრულებას“, – აღნიშნულია რუსეთის თავდაცვის უწყების განცხადებაში.

მარცვლეულის ექსპორტის ინიციატივაში რუსეთის მონაწილეობის განახლებაზე ცნობებს ადასტურებს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანიც.

თურქეთის ლიდერმა პარლამენტში გა-

მოსვლისას აღნიშნა, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ თავის თურქ კოლეგას აცნობა, რომ შეთანხმება განახლდება.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ბირჟაზე ხორბლის ფასი რამდენიმე საათში მკვეთრად, თითქმის 6%-ით დაეცა და ამჟამად ბუშელი მარცვლეულის ღირებულება 8.5 დოლარს შეადგენს.

157,6 მლნ ლარი 6 თვეში — სახელმწიფო უწყებები, რომლებმაც ყველაზე მეტი სახელფასო დანამატი გასცეს

წელს 6 თვეში სახელმწიფო უწყებების სახელფასო დანამატის ხარჯმა 157,6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 22,9 მლნ ლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. 2021 წლის 6 თვეში 134,7 მლნ ლარის დანამატი გაიცა. ამის შესახებ ინფორმაცია აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის მონიტორზეა განთავსებული.

ამავე მონაცემების მიხედვით, უწყებებს შორის, წელს ყველაზე მეტი თანხა შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებზე მოდის.

უფრო დეტალურად:

პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები – 673.238 ლარი

პრეზიდენტის ადმინისტრაცია – 118.941 ლარი

მთავრობის ადმინისტრაცია – 189.206 ლარი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 0 ლარი

ფინანსთა სამინისტრო – 1.8 მლნ ლარი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – 212.272 ლარი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 92.820 ლარი

იუსტიციის სამინისტრო – 1.1 მლნ ლარი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 3.5 მლნ ლარი

საგარეო საქმეთა სამინისტრო – 62.773 ლარი

თავდაცვის სამინისტრო – 8.2 მლნ ლარი

შინაგან საქმეთა სამინისტრო – 46.8 მლნ ლარი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 492.141 ლარი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 88.562 ლარი

შენიშვნა: დანარჩენი თანხა სხვა უწყებებზე, მათ შორის, რეგიონების გუბერნატორებისა და რწმუნებულების ადმინისტრაციებზე ნაწილდება.

სააპელაციო სასამართლო ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის საქმეზე გამოცხადებულ განაჩენთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს

სააპელაციო სასამართლო ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლო „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის საქმეზე გამოცხადებულ განაჩენთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

აღნიშნულის მიხედვით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში ნიკა გვარამიამ და კახაბერ დამენიამ უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს.

2022 წლის 2 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასრულდა სისხლის სამართლის საქმე ნ.გ.-ს, კ.დ.-სა და ზ.ი.-ს მიმართ.

კ.დ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის კახაბერ წერეთელისა და მსჯავრდებულ ნ.გ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ქეთევან ჩომახაშვილის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორების ვლადიმირ ვექილიანისა და ზვიად გუბელაძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ:

ზ.ი. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა. კ.დ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება – ქმედება გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლზე და სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 50.000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მესამე ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში ნ.გ. გამართლდა.

ნ.გ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება – ქმედება გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლზე და იგი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში ნ.გ.-მ და კ.დ.-მ უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს, ე.ი. საწარმოში (ან სხვა ორგანიზაციაში) ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება, ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენის და უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ვინაიდან როგორც ნ.გ., ასევე კ.დ. წარმოადგენენ ორგანიზაციის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, რომლებმაც საკუთარი კომპანიის ინტერესის საწინააღმდეგოდ, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, სხვა კომპანიას მიანიჭეს უპირატესობა, ამ უკანასკნელმა მიიღო მნიშვნელოვნად გაზრდილი შემოსავლები, ხოლო კომპანია „რუსთავი 2“-მა – 6.763.509 (ექვსი მილიონ შვიდას სამოცდასამი ათას ხუთას ცხრა) ლარის ოდენობით ზიანი.

აღნიშნულ ეპიზოდში სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ნ.გ.-ს როლი, მისი ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამოწვეული ზიანის ხასიათსა და ხარისხზე და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით. შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით ნ.გ.-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელი.

გორში ქვეითად მოსიარულე დედა-შვილს ავტომანქანა დაეჯახა

გორში, მშვიდობის გამზირზე მოძრავი მსუბუქი ავტომობილი ფეხით მოსიარულე დედა-შვილს დაეჯახა. შემთხვევა კომბინატის დასახლების ტერიტორიაზე მოხდა. ახალგაზრდა ქალი და 7 წლის ბავშვი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა.

ჰოსპიტლის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილების ხელმძღვანელის ინფორმაციით, დედა-შვილს ტრავმული დაზიანებები აღენიშნება. ორივე პაციენტს უტარდება ყველა საჭირო კვლევა და შესაბამისი სამედიცინო დახმარება. მათივე ინფორმაციით, იგეგმება დაშავებული მოზარდის თბილისში, ბავშვთა სპეციალიზებულ კლინიკაში გადაყვანა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლი დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 224 ფაქტი გამოავლინეს

ოქტომბერში საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 224 ფაქტი გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, 1-31 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული კონტროლის ღონისძიებების შედეგად, 15.709 კოლოფი და 94 კილოგრამზე მეტი უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 224 ფაქტი გამოავლინეს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ უაქციზო საქონელი. 78 ფაქტზე, სამართალდამრღვევი პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1552 მუხლის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და საქმის მასალები ქვემდებარეობის მიხედვით სასამართლოს გადაეგზავნა. 3 ფაქტზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა, ხოლო დანარჩენი 143 ფაქტი ჩაითვალა არაიდენტიფიცირებულ შემთხვევად და შედგა ამოღების ოქმები.

ლენტეხის მერის სამუშაო კაბინეტი დაცხრილეს

შეიარაღებული თავდასხმა ქვემო სვანეთში – ლენტეხის მერიაში მუნიციპალიტეტის მერ გიორგი ონიანის სამუშაო კაბინეტს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს, ამის შემდეგ კი სამუშაო ოთახში ხანძარი გაანთეს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. დამნაშავეები ამ დრომდე არ არიან იდენტიფიცირებული.

შემთხვევის დროს ონიანი თბილისში იმყოფებოდა. შსს ეძებს პირს ან პირებს, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღით ორგანიზებულად შევიდნენ მერის სამუშაო კაბინეტში და მისი კაბინეტი დაცხრილეს.

„კანონდარღვევით ჰქონდათ მოწყობილი სავალუტო პუნქტები“ – ამოღებულია 550.000 ლარის უცხოური ვალუტა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოავლინეს უკანონო სამეწარმეო საქმიანობის 9 ფაქტი, რაზეც პასუხისგებაში მისცეს 10 პირი.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს, აჭარის რეგიონში, სხვადასხვა ლოკაციაზე კანონდარღვევით მოწყობილი ჰქონდათ სავალუტო პუნქტები, სადაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის გარეშე, ახორციელებდნენ სამეწარმეო საქმიანობას.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯამში ამოღებულ იქნა 550.000 ლარის ოდენობის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, – ნათქვამია განცხადებაში.

უწყების ცნობით, აღნიშნული სახის დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1-დან 3 წლამდე ვადით.

სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი და დამფუძნებელი ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა. გადაწყვეტილება მოსამართლეთა კოლეგიამ გამოაცხადა.

შეგახსენებთ, ნიკა გვარამიას საქალაქო სასამართლომ 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა 16 მაისს შეუფარდა. მას პროკურატურა ედავება ჯერ კიდევ რუსთავი 2-ის დირექტორობის დროს, სამაუწყებლო კომპანიის „კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და მისი კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის სამსახურებრივი მდგომარეობით გამოყენებას“.

საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამიას კერძო კომპანიის მანქანით სარგებლობის, ე.წ. პორშეს ეპიზოდის გამო მიუსაჯა პატიმრობა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიასთან ერთად ბრალდებული ზურაბ იაშვილი გაამართლა, ხოლო კახა დამენიას დამნაშავედ ცნო 220-ე მუხლით და დააკისრა ჯარიმა 50 ათასი ლარის ოდენობით. ამ გადაწყვეტილებით, სააპელაციომ საქალაქოს განაჩენი ძალაში დატოვა.

ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ მიერ სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციით დადგინდა, რომ 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, ამ მუხლით პატიმრობა არავისთვის აქვთ მისჯილი.

პროკურატურა ნიკა გვარამიასთვის კიდევ უფრო მძიმე სასჯელს ითხოვს

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას საქმის პროკურორი ამბობს, რომ ბრალდების მხარე მეორე ინსტანციის გადაწყვეტილება არ ეთანხმება და მას უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ.

სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას განაჩენი ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ე.წ. ავტომობილის ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელიც 3 წლითა და 6 თვით პატიმრობას გულისხმობდა, ბრალის მეორე ნაწილში სასამართლომ პროკურატურის პოზიცია გაიზიარა და გვარამიას ბრალი დაუმძიმა კომპანიისთვის ზიანის მიყენების ნაწილში – სასამართლომ 50.000-ლარიანი ჯარიმა პატიმრობით შეცვალა.

რაც შეეხება მესამე ნაწილს, რომელიც გულისხმობს მოსყიდვას იმ პირის მიერ, რომელიც ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას (სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), რასაც ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, სასამართლომ აქაც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გაიზიარა და ნიკა გვარამია გაამართლა.

სწორედ ამ ნაწილს არ ეთანხმება პროკურატურა და ამბობს, რომ ამ ბრალდების „უტყუარი მტკიცებულებები“ არსებობს, რომელსაც უზენაეს სასამართლოში წარადგენენ.

– სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განაჩენს ბრალდების მხარე არ ეთანხმება, ჩვენ კანონით დადგენილ ვადაში გავასაჩივრებთ საქართველოს უზენაეს სასამართლოში, იმის გათვალისწინებით, რომ მოპოვებული გვაქვს უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრული ეჭვითა და სტანდარტით ადასტურებს სამივე პირს ჩადენილი აქვს ბრალად წარდგენილი ქმედება და გვაქვს გონივრული მოლოდინი, რომ უზენაესი სასამართლო მაინც მიიღებს სამართლიან, ობიექტურ და კანონიერ გადაწყვეტილებას და სამივე ხსენებულ პირს დამნაშავედ ცნობს წარდგენილ ბრალდებაში, – თქვა პროკურორმა ზვიად გუბელაძემ. უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს დაცვის მხარეც. ისინი აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკურია.

მაშველებმა მტირალას პარკში ჩარჩენილი 11 მოქალაქე გამოიყვანეს

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცნობით, მტირალას ეროვნულ პარკში სამაშველო ოპერაცია წარმატებით დასრულდა.

მაშველებმა მდინარე ჩაქვის წყლის ერთ-ერთ შენაკადზე ფორსირებისთვის სპეციალური აღჭურვილობა უმოკლეს დროში დაამონტაჟეს და ადიდებული მდინარის გამო ჩარჩენილი 11 მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე გადმოიყვანეს.

სამაშველო ოპერაციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის აჭარის მთავარი სამმართველოს 7 მეხანძრე მაშველი მონაწილეობდა.

დანიის პრემიერ-მინისტრი გადადგა

დანიის პრემიერ-მინისტრი მეტე ფრედერიკსენი ახალი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად გადადგა. ინფორმაციას ამის შესახებ Reuters-ი ავრცელებს.

გამოცემა აღნიშნავს, რომ დანიის პრემიერ-მინისტრი მეტე ფრედერიკსენი სამშაბათს, საპარლამენტო არჩევნებში მცირე უპირატესობით გამარჯვების მიუხედავად, თანამდებობიდან გადადგა, რათა ახალი კოალიციის ჩამოყალიბების შესახებ დაიწყოს მოლაპარაკებები.

Reuters-ის ინფორმაციით, მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდება, ვინაიდან, „ფრედერიკსენის მეგობრებიც და მტრებიც სკეპტიციზმს გამოხატავდნენ ფართო კოალიციის მიმართ, რომლის ჩამოყალიბებასაც იგი გეგმავს“.

მემარცხენე-ცენტრისტულმა ალიანსმა, რომლის ნაწილიც არის ფრედერიკსენის სოციალ-დემოკრატიული პარტია, 179-ადგილიან პარლამენტში 90 ადგილი მოიგო. მემარჯვენე ბლოკმა 72 ადგილი მიიღო, ხოლო ცენტრისტულმა პარტიამ 16 მანდატი მოიპოვა.

Reuters-ი აღნიშნავს, რომ ფრედერიკსენი ფართო კოალიციის საჭიროების შესახებ საუბრობდა, რომელშიც მონაწილეობას, ტრადიციულად, გაყოფილი მემარცხენეები და მემარჯვენეები მიიღებდნენ. მისი მტკიცებით, საერთაშორისო გაურკვევლობის დროს საჭიროა ეროვნული ერთიანობა.

აშშ ვერ ხედავს ნიშნებს, რომ რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებას გეგმავს

აშშ ვერ ხედავს იმის ნიშნებს, რომ რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებას გეგმავს. ამის შესახებ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სპიკერმა ჯონ კირბიმ განაცხადა.

– ჩვენ თავიდანვე ნათელი გავხადეთ, რომ ბირთვული იარაღის პოტენციური გამოყენების შესახებ რუსეთის კომენტარები ღრმა შეშფოთებას იწვევს და ჩვენ ამას სერიოზულად აღვიქვამთ. ჩვენ ამას განსაკუთრებულად ვადევნებთ თვალს და ვერ ვხედავთ იმის ვერანაირ ნიშნებს, რომ რუსეთი ასეთი გამოყენებისთვის ემზადებოდეს, – თქვა კირბიმ.

კირბიმ ასევე აღნიშნა, რომ მას რამე კონკრეტული კომენტარები არ გააჩნია New York Times-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, თითქოს რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობაში ბირთვული იარაღის გამოყენების საკითხი განიხილება.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ვლადიმერ პუტინთან დაკავშირებულ კიდევ ოთხ რუს ოლიგარქს სანქციები დაუწესა

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დაკავშირებულ კიდევ ოთხ რუს ოლიგარქს სანქციები დაუწესა.

მედიის ცნობით, სანქციები დაუწესდათ ალექსანდრე აბრამოვს, ალექსანდრე ფროლოვს, აირატ შაიმიევსა და ალბერტ შიგაბუტდინოვს.

როგორც ბრიტანული მედია წერს, ალექსანდრე აბრამოვი და ალექსანდრე ფროლოვი რომან აბრამოვიჩის საქმიანი პარტნიორები არიან, რომლებიც რუსული ფოლადის მწარმოებელ კომპანია Evraz-თან არიან დაკავშირებული.

აბრამოვსა და ფროლოვს გაერთიანებულ სამეფოში აქტივები რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულ ომში მათი როლის გამო გაუყინეს.

ბრიტანეთის მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ გაერთიანებულ სამეფოში აბრამოვი და ფროლოვი ერთად 100 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების საინვესტიციო საკუთრებას ფლობენ.

ორივე მათგანს ეკრძალება დიდ ბრიტანეთში შესვლა ან დარჩენა. ამასთან, შეზღუდვები აქვთ მათ მფლობელობაში არსებული თვითმფრინავებისა და გემების გამოყენებაზე ქვეყნის მასშტაბით.

რაც შეეხება შაიმიევს, ის OAO Tatatodor-ის აღმასრულებელი დირექტორია, რომელიც რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო და სამშენებლო კომპანიაა.

შიგაბუტდინოვი კი AO TAIF-ის კომპანიების ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორია, რომელიც ენერგეტიკის, ფინანსური სერვისებისა და საინფორმაციო კომუნიკაციების სექტორებში ოპერირებს.

კალინინგრადთან პოლონეთი მავთულის ღობეს ააშენებს

კალინინგრადთან პოლონეთი მავთულის ღობეს ააშენებს. ამის შესახებ პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა მარიუშ ბლაშჩაკმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, დროებითი 2,5 მეტრის სიმაღლის ბარიერის მშენებლობა დაუყოვნებლივ დაიწყება.

საინფორმაციო სააგენტო „როიტერსის“ ცნობით, პოლონეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა კალინინგრადის საზღვარზე ღობის მშენებლობის მიზეზად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები დაასახელა. მანვე გასული წლის შემოდგომის კრიზისზეც მიუთითა, როდესაც ათასობით აფრიკელი და ახლოაღმოსავლელი მიგრანტი პოლონეთში შეღწევას ბელარუსის საზღვრიდან ცდილობდა.

ბლაშჩაკმა დასძინა, რომ კალინინგრადთან ღობე პოლონეთის მიერ ბელარუსის საზღვრის გასწვრივ გასულ წელს აღმართული ბარიერის მსგავსი იქნება.

ისრაელის არჩევნებში ბენიამინ ნეთანიაჰუს ბლოკი ლიდერობს

წინასწარი შედეგების თანახმად, ისრაელში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს ბლოკი ლიდერობს. ინფორმაციას Times of Israel-ი ავრცელებს. გამოცემის ცნობით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხმების დათვლა მიმდინარეობს და ამ დროისთვის დათვლილია ბიულეტენების 20.7 პროცენტი. არსებული მონაცემების საფუძველზე, ნეთანიაჰუს მემარჯვენე ბლოკი 120-ადგილიან პარლამენტში 72 მანდატს მიიღებს, თუმცა ეს რიცხვი, შესაძლოა, ბიულეტენების დათვლის შემდეგ შეიცვალოს.

მანამდე ეგზიტპოლების შედეგები გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც, ყოფილი პრემიერის ბლოკი პარლამენტში 61-62 ადგილს მოიპოვებს, ხოლო ალიანსი, რომელიც მხარს უჭერს მოქმედ პრემიერ-მინისტრ იაირ ლაპიდს – 54 ან 55 ადგილს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მამაკაცის ჯიბეში ელექტროსიგარეტს ცეცხლი წაეკიდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი უვნებელი გადარჩა მას შემდეგ, რაც შარვლის ჯიბეში ელექტროსიგარეტს ცეცხლი გაუჩნდა.

აღნიშნული ინციდენტი ოქსფორდშირის საგრაფოს ქალაქ ბაისესტერის მაღაზიაში მოხდა. მოულოდნელად მყიდველის ჯიბიდან ბოლი ამოვიდა. თვითმხილველების თქმით, მამაკაცი ჯიბეზე ხელებს ირტყამდა და ცეცხლის ჩაქრობას ასე ცდილობდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა ცეცხლი ჩააქრეს და შენობა შეამოწმეს.

მამაკაცს ამ ინციდენტის შედეგად რაიმე სახის დაზიანება არ მიუღია. მხოლოდ მისი შარვალი დაზიანდა.

– თუ ერთი ელექტროსიგარეტის ბატარეა გაუმართავია, მაშინ მთელი პარტია უნდა განადგურდეს, – განაცხადეს სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ლობჟანიძე სანაკრებო შეკრებაზე ლელოთი მოდის

ტოპ 14-ის მიმდინარე სეზონში ბრივის ქართველმა ლეგიონერმა ვასილ ლობჟანიძემ მეორე ლელო გაიტანა. მისმა გუნდმა მე-9 ტურში რასინგ 92-ს უმასპინძლა და, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეზე ერთით მეტი ლელო გაიტანა, 38:43 დამარცხდა.

ლობჟანიძე სასტარტო შემადგენლობაში იყო, 56-ე წუთზე შეცვალეს, მაგრამ 12 წუთში მოედანზე მოუწია დაბრუნება. 34-ე წუთზე, ხელდახელ სწრაფი შეტევისას რაქიდან გამოვარდნილი ბურთი აიტაცა, პასის იმიტირებით მცველი მოატყუა, ხაზი გაჭრა და თავისი გუნდის პირველი ლელოთი ჩამორჩენა 3 ქულამდე დაიყვანა. 74-ე წუთზე ვასკამ კიდევ ერთი ლელო შექმნა. მან თავის ნახევარზე სწრაფად გაითამაშა ჯარიმა, რამდენიმე მეტრით წინ წაიწია და ფეხით გამოზომილი დარტყმით თანაგუნდელი საპირისპირო ფრთაზე მოძებნა, მისი გამჩერებელი კი აღარავინ იყო. ბრივის რიგებში პირველიდან 47-ე წუთამდე ითამაშა ვანო კარკაძემ.

კასტრმა კლერმონს უმასპინძლა და 26:22 დაამარცხა. გამარჯვებულთა შორის 51-ე წუთიდან ითამაშა ლევან ჩილაჩავამ. სტუმართა ძირითადში იყო და 45-ე წუთზე შეცვალეს დუდუ ქუბრიაშვილი. მანამდე, მე-20 წუთზე, ყვითელი ბარათი მიიღო.

სტად ფრანსე მონპელიეს ეწვია და მხოლოდ ნუგეშ-ქულას დასჯერდა – 19:23. პარიზელთა მარქაფაში ორი ქართველი იყო – ვასილ კაკოვინმა – 44-ე, ხოლო გიორგი მელიქიძემ 49-ე წუთიდან ითამაშა.

გიორგი თეთრაშვილის პერპინიანმა ლიონს 28:21 მოუგო. ქართველმა ბურჯმა შეცვლაზე 49-ე წუთიდან ითამაშა. ლიონის ძირითადში ორი ქართველი იყო. დავით ნინიაშვილს პირველ ტაიმში გარკვეული დროით მოედნის დატოვება მოუწია, თუმცა თამაშში მალევე დაბრუნდა და შეუცვლელად გაისარჯა. ბექა საღინაძე 74-ე წუთზე შეცვალეს.

პო ლა როშელს ეწვია და 38:21 სძლია. სტუმართა გამარჯვებაში საკუთარი წვლილი ორმა ჩვენებურმა შეიტანა. ფლანკერად შეუცვლელად ითამაშა გუნდის კაპიტანმა ბექა გორგაძემ. ძირითადში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს გურამ პაპიძე. მასპინძელთა რიგებში შეცვლაზე 58-ე წუთზე გამოჩნდა ალექსანდრე ქუნთელია.

ბორდომ ტულონი მიიღო და დაძაბულ ბრძოლაში 27:26 დაამარცხა. ორივე გუნდის მარქაფაში თითო ქართველი ბურჯი იყო. ლექსო ყაულაშვილი ბორდოს რიგებში შესვენების შემდეგ გამოჩნდა, ხოლო ბექა გიგაშვილი თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო.

ინგლისის პრემიერშიფის მე-8 ტურში გლოსთერმა ექსეთერი 38:22 დაამარცხა და ბონუსიც აიღო. ქართველი შუამრბი გიორგი კვესელაძე სასტარტო შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

საშინელმა სიზმარმა პენსიონერს ლატარიაში სოლიდური მოგება მოუტანა

68 წლის მალაიზიელს ღამით საშინელება დაესიზმრა და მისი წყალობით მილიონერი გახდა.

სიზმარში პენსიონერი ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს, თუმცა, იმავე სიზმარში, მან ორი რიცხვიც ნახა – 1592 და 4412. მამაკაცმა გადაწყვიტა, ისინი ლატარიის გათამაშებაში გამოეყენებინა და ამისთვის ერთდროულად სამი ტირაჟის ბილეთები შეიძინა. ამ გადაწყვეტილებამ კი პენსიონერს 22,8 მილიონი მალაიზიური რინგიტი მოუტანა.

პენსიონერი შედეგით გაოგნებული დარჩა. ის დარწმუნებული იყო, რომ ნანახი სიზმარი დანაკარგის მაუწყებელი იყო და არა ასეთი სოლიდური მოგების მომტანი. მან მოგებული თანხა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გამოიტანა, ვინაიდან ეს სიხარული სურდა შვილებისთვის გაეზიარებინა, რომლებიც იმ დროს მალაიზიაში არ იმყოფებოდნენ. მამაკაცი მოგებული თანხის ნაწილის შვილებისთვის დარიგებას აპირებს და იმედი აქვს, რომ ისინი მას სწორად გამოიყენებენ.

მამაკაცს შესახვევი შეეშალა და ოთხი ადამიანი დაღუპვას გადაარჩინა

ამერიკის აიოვის შტატის მცხოვრებმა ალმოდებულ სახლში დაღუპვისგან ოთხი ადამიანი მას შემდეგ იხსნა, რაც შემთხვევით შესახვევი შეეშალა და დაინახა, რომ სახლი ცეცხლის ალში იყო გახვეული.

ბრენდონ ბირტი გვიან ღამით ქალაქ რედ-ოუკში მიდიოდა და სიბნელის გამო სხვაგან შეუხვია. მალე მან შენიშნა, რომ ერთ-ერთ კერძო სახლში ხანძარი იყო.

– იმწამსვე გავიფიქრე, რომ შიგნით ვინმე იქნებოდა, ვინაიდან გვიანი ღამე იყო. ვიცოდი, რომ სწრაფად მოქმედება იყო საჭირო, – იხსენებს მამაკაცი.

მან სახლის ფანჯრებზე კაკუნი დაიწყო და თან გაჰყვიროდა: „ხანძარია, ხანძარი!“

ბირტის თქმით, ყოველ წამს ხანძარი სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა. მალე სახლიდან სამი 14-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვი გამოვარდა. იმ დროისთვის ცეცხლის ალში უკვე სახლის შესასვლელიც გაეხვია. რამდენიმე წამში სახლიდან მათი 22 წლის ძმაც გამოვარდა.

– როდესაც ისინი სახლიდან გამოცვივდნენ, კინაღამ ავქვითინდი, – ამბობს ბირტი.

მოგვიანებით გაირკვა, რომ სახლში სახანძრო სიგნალიზაცია იყო დაყენებული, მაგრამ მან რატომღაც არ იმუშავა. სახლის ბანადარნი სწორედ ბირტის ფანჯარაზე კაკუნმა და ყვირილმა გააღვიძა. ამ შემთხვევის დროს ბავშვების მშობლები სახლში არ იმყოფებოდნენ. გადარჩენილების დედამ ტენდერ ლემანმა განაცხადა, რომ ბირტის უზომოდ მადლიერია. რომ არა ის, მისი შვილები ცეცხლს თავს ვერ დააღწევდნენ.

სამწუხაროდ, ცეცხლში ოჯახის კუთვნილი შვიდიდან ხუთი ძაღლი დაიღუპა. სახლი მთლიანად დაიწვა. მიმდინარეობს ხანძრის გაჩენის მიზეზის დადგენა.

მგზავრებმა ქალი თვითმფრინავში 10 ათასი მეტრის სიმაღლეზე ამშობიარეს

აშშ-ის ფეხმძიმე მოქალაქე დომინიკის რესპუბლიკაში მიემგზავრებოდა, როდესაც 10 ათასი მეტრის სიმაღლეზე მყოფ თვითმფრინავში მშობიარობა დაეწყო.

21 წლის კენდრია როდენი ფეხმძიმობის 32-ე კვირაში იმყოფებოდა და არ მოელოდა, რომ მისი შვილი უახლოეს დღეებში დაიბადებოდა. ის სამოგზაუროდ ოჯახთან ერთად გაემგზავრა და თვითმფრინავში დის, 26 წლის კენდალის გვერდით იჯდა.

– კენდრია მთელი გზა წრიალებდა, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ხმას არ იღებდა, თუმცა ბოლოს განაცხადა, რომ მის თავს რაღაც ისე ვერ იყო, – განაცხადა კენდალმა.

ფრენის დაწყებიდან 43 წუთის შემდეგ გაირკვა, რომ კენდრიამ წყლები დაღვარა და ჭინთვები დაეწყო. დამ ეს ყოველივე თვითმფრინავის ეკიპაჟს აცნობა და ისინი მაშინვე შეუდგნენ ისეთი მგზავრის ძებნას, რომელსაც სამედიცინო განათლება ან სპეციალური ჩვევები ექნებოდა გამომუშავებული ასეთი ექსტრემალური მდგომარეობისთვის. საბოლოოდ ქალისგან მშობიარობის მისაღებად მზად ოთხი მგზავრი აღმოჩნდა. კენდრია თვითმფრინავის სალონის ბოლოში გადაიყვანეს სადაც მან 20 წუთის შემდეგ იმშობიარა. ახალდაბადებულ ბიჭს სკაილენი დაარქვეს.

კენდრიას დედობა თვითმფრინავის მთელმა ეკიპაჟმა და მგზავრებმა მიულოცეს, ხოლო როდესაც თვითმფრინავი აეროპორტში დაეშვა, მას იქ აეროპორტის თანამშრომლები დახვდნენ და საავადმყოფოში გადაყვანაში დაეხმარნენ. ვინაიდან ბავშვი ვადაზე ადრე დაიბადა, ის ოთხი დღით ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს. ამჟამად დედაც და შვილიც თავს კარგად გრძნობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფიბა საქართველოს შემადგენლობასა და შანსებს გვამცნობს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები 11 და 14 ნოემბერს 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს გამართავს. ილიას ზაროსის გუნდი ჯერ ისლანდიას ესტუმრება, ხოლო შემდეგ შინ იტალიას დაუხვდება.

სანამ თავად ზაროსი და ფედერაცია ნაკრების კანდიდატებს გამოაცხადებს, მანამდე ფიბამ საკუთარ ვებგვერდზე ჩვენი გუნდის გაფართოებული განაცხადი დადო.

ბერძენი სპეციალისტი ისლანდიასთან და იტალიასთან არცთუ ძლიერი შემადგენლობით იქნება. გუნდს ვერ დაეხმარებიან „ამერიკელები“ – გოგა ბითაძე და სანდრო მამუკელაშვილი. სამაგიეროდ, ტრავმები მოირჩინეს თორნიკე შენგელიამ და თად მაკფადენმა; ფორმაში შევიდა გიორგი შერმადინიც.

თუმცა, ამ დროისთვის რატი ანდრონიკაშვილი, დუდა სანაძე და ბექა ბურჯანაძე ინდივიდუალურად ვარჯიშობენ, შენგელიას კი ტრავმის გამო ორ თვეზე მეტი გაუცდა და პირველი მატჩის ჩასატარებლად ახლაღა ემზადება.

ზაროსის გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

რატი ანდრონიკაშვილი, გივი ბაქრაძე, ბექა ბექაური, მიხეილ ბერიშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი, ბექა ბურჯანაძე, კახა ჯინჭარაძე, გიორგი კორსანტია, ილია ლონდარიძე, თად მაკფადენი, ალექსანდრე ფევაძე, რევაზ როგავა, დუდა სანაძე, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, გიორგი ცინცაძე, გიორგი ტურძილაძე.

ამ დროისთვის ჯგუფს 5-5 მოგებით ესპანეთი და იტალია ლიდერობენ. ორ ევროპულ გრანდთან ჭიდილი ძნელი იქნება, აი, მსოფლიოს პირველობაზე გამსვლელ მე-3 ადგილზე კი პრეტენზიას, საქართველოსთან ერთად, ისლანდია და უკრაინა აცხადებენ.

სადღეისოდ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ესპანეთი (5-1), იტალია (5-1), ისლანდია (4-2), საქართველო (3-3), უკრაინა (1-5), ნიდერლანდები (0-6).

საკვალიფიკაციო მატჩების წინ ფიბა-მ სიტუაცია მიმოიხილა:

– იტალიას გასულ ევრობასკეტზე ძალიან კარგი შედეგი ჰქონდა და მეოთხედფინალამდე მივიდა, ნოემბერში კი შანსი აქვთ, მსოფლიოს პირველობის საკვალიფიკაციო ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვონ, რადგანაც ესპანეთს მიიღებენ, სტუმრად კი საქართველოში ჩავლენ. ამ მატჩების შედეგების გათვალისწინებით, ჯანმრკო პოცეკოს გუნდმა, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ვადაზე ადრე მოიპოვოს.

ისლანდიელთა ოცნება, პირველად ისტორიაში ითამაშონ მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე, კიდევ უფრო რეალური გახდება, თუ მომავალი ფანჯრის პირველ შეხვედრაში საქართველოს მოუგებენ. ნათელია, რომ რეიკიავიკში მაგარი ბრძოლაა მოსალოდნელი, რადგანაც, წარმატების შემთხვევაში, ისლანდიელები აღმოსავლეთევროპელებს 2 მოგებით გაუსწრებენ. მათ ნოემბერში იტალიასთან საგარეო თამაშიც ელით.

საქართველოსთვის კი ამ ფანჯარაში ისლანდიაში მოგება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა...

ფიბა-ს ვებგვერდზე გამოკითხვაც მიმდინარეობს, რომელი ნაკრებები გავლენ მსოფლიოს პირველობაზე ჩვენი ჯგუფიდან. აშკარა ლიდერები არიან ესპანეთი (25%) და იტალია (23), ისლანდიასა და საქართველოს კი თანაბარი მაჩვენებლები (10-10%) აქვთ.

ნაპოლი და კვარაცხელია ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდნენ

ა ჯგუფი

ლივერპული-ნაპოლი 2:0

1:0 სალაჰი (86), 2:0 ნუნიესი (90)

ორივე გუნდი ფლეი ოფში გასული იყო, მაგრამ ერთმანეთში გასარკვევი ჰქონდათ, თუ ვინ დაიკავებდა ჯგუფში პირველ ადგილს. ლივერპულს ოთხი ბურთით უნდა მოეგო, მაგრამ ეს ამოცანა ვერ შეასრულა და ფლეი ოფში უკეთესი ადგილით ხვიჩა კვარაცხელია და კამპანია გავიდნენ.

86-ე წუთზე მოჰამედ სალაჰმა გაიტანა, ხოლო მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში – ნუნიესმა.

ხვიჩა კვარაცხელიამ 83-ე წუთამდე ითამაშა. კვარამ საგოლე პასიც გააკეთა, მაგრამ გოლი ვიდეორეფერომ გააუქმა. ეს 53-ე წუთზე მოხდა, როდესაც ხვიჩამ საჯარიმო დარტყმა ჩააწოდა და ლეო ოსტიგორმა თავით გაიტანა. ნორვეგიელის თამაშგარე ვარმაც კი „წვალებით“ დააფიქსირა.

რეინჯერსი-აიაქსი 1:3

0:1 ბერგჰაუსი (4), 0:2 კუდუსი (29), 1:2 ტავერნიე (86პ), 1:3 კონსეისაუ (89)

დაახლოებით იდენტური სიტუაცია იყო ამ წყვილშიც: რეინჯერსს თუ ევროპალიგაზე გადასვლა უნდოდა, აიაქსის 5 ბურთით უნდა მოეგო. აქ უკვე აიაქსმა მოიგო, ამასთან – ძალიან მარტივად.

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	6	5	0	1	20-6	15
2.ლივერპული	6	5	0	1	17-6	15
3.აიაქსი	6	2	0	4	11-16	6
4.რეინჯერსი	6	0	0	6	2-22	0

ბ ჯგუფი

პორტუ-ატლეტიკო 2:1

1:0 ტარემი (5), 2:0 ეუსტაკიო (24), 2:1 მარკანო (90სკ)

მადრიდის ატლეტიკომ ევროსეზონი ჩააგდო. მადრიდულმა გუნდმა ფლეი ოფში გასვლის შანსი ჯერ კიდევ წინა ტურში დაკარგა, მაგრამ ევროპა ლიგაზე გადასვლის შანსი მაინც ჰქონდა და ისიც ვერ გამოიყენა.

დიეგო სიმეონეს გუნდი „დრაგაუზე“ პორტუს ესტუმრა და საწყის 25 წუთში ორი გოლი გაუშვა, მერე კი მადრიდელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში პრესტიჟის გოლი გაიტანეს და პორტუგალიელებმა 2:1 მოიგეს.

ლევერკუზენი-ბრიუგე 0:0

პარალელურად, ლევერკუზენისა და ბრიუგეს შეხვედრა უგოლო ფრით დასრულდა, რის შედეგადაც ატლეტიკო ევროპა ლიგის მიღმაც დარჩა და ევროთასებს მომდევნო სეზონამდე დაემშვიდობა.

ლევერკუზენმა და ატლეტიკომ ასპარეზობა 5-5 ქულით დაასრულეს, მაგრამ ვინაიდან ურთიერთშეხვედრებში გერმანელებს უკეთესი შედეგი ჰქონდათ (2:0, 2:2), მესამე ადგილი დაიკავეს და ევროპა ლიგაზე გადავიდნენ, ხოლო ატლეტიკო ბოლო პოზიციაზე გავიდა.

სატურნირო ცხრილი:

1.პორტუ	6	4	0	2	12-7	12
2.ბრიუგე	6	3	2	1	7-4	11
3.ლევერკუზენი	6	1	2	3	4-8	5
4.ატლეტიკო	6	1	2	3	5-9	5

გ ჯგუფი

ბაიერნი-ინტერი 2:0

1:0 პავარი (32), 2:0 ჩუპო-მოტინგი (72)

ორივე გუნდი ფლეი ოფში იყო გასული და არანაირი შედეგი ცხრილში სიტუაციას არ შეცვლიდა. არაფრისმომცემ მატჩში მასპინძლებმა პავარისა და ჩუპო-მოტინგის გოლებით იმარჯვეს.

პლზენი-ბარსელონა 2:4

0:1 ალონსო (6), 0:2 ტორესი (44), 1:2 ჩორი (51), 1:3 ტორესი (54), 2:3 ჩორი (63), 2:4 ტორე (75)

სატურნირო განლაგებას ვერც ამ მატჩის შედეგი შეცვლიდა. პლზენს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და უფრო თავისუფლად თამაშობდა, რამაც ორ გოლამდე მიიყვანა. თუმცა ბარსას ხშირად ორი გოლიც კი საკმარისი არაა. ასე მოხდა ამჯერადაც...

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	6	6	0	0	18-2	18
2.ინტერი	6	3	1	2	10-7	10
3.ბარსელონა	6	2	1	3	12-12	7
4.პლზენი	6	0	0	6	5-24	0

დ ჯგუფი

სპორტინგი-აინტრახტი 1:2

1:0 გომესი (39), 1:1 კამადა (62), 1:2 კოლო მუანი (72)

ბოლო ტურის წინ ჯგუფში არაფერი იყო გარკვეული და ფლეი ოფში გასვლის შანსს ოთხივე გუნდი ინარჩუნებდა.

სპორტინგი აინტრახტს უგებდა, მაგრამ ანტრაქტის შემდეგ ორი გოლი გაუშვა და შემდეგ ეტაპზე გერმანული გუნდი გაუშვეს.

მარსელი-ტოტენჰემი 1:2

1:0 მბემბა (45), 1:1 ლენგლე (54), 1:2 ჰოიბერგი (90)

პირველი ტაიმის შემდეგ მარსელი ტოტენჰემს ისე ამარცხებდა, ანტონიო კონტეს გუნდი მეტოქის საჯარიმოში ბურთსაც არ შეხებია. თუმცა მეორე ნახევარში ინგლისელებმა კლემენ ლენგლესა და პიერ-ემილ ჰოიბერგის გოლებით მოგება მოახერხეს. დანიელმა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაიტანა, რითაც ტოტენჰემს ჯგუფში პირველი ადგილი მოაპოვებინა. ევროპა ლიგაზე სპორტინგმა გადაინაცვლა, ხოლო მარსელი, რომელიც ახლოს იყო ფლეი ოფთან, საერთოდ ბოლო ადგილს დასჯერდა.

სატურნირო ცხრილი:

1.ტოტენჰემი	6	3	2	1	8-6	11
2.აინტრახტი	6	3	1	2	7-8	10
3.სპორტინგი	6	2	1	3	8-9	7
4.მარსელი	6	2	0	4	8-8	6

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპი თებერვალში დაიწყება, ხოლო წილისყრა 7 ნოემბერს გაიმართება და ნაპოლის მომდევნო მეტოქე გაირკვევა.

ქალეიდოსკოპი

შვიდმეტრიანმა პითონმა ქალი გადაყლაპა

ინდონეზიის ჯამბის პროვინციაში შვიდმეტრიანმა პითონმა 54 წლის ქალი შეჭამა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქვეწარმავლის თავდასხმის დროს ქალი პლანტაციაში იმყოფებოდა და კაუჩუკის შეგროვებით იყო დაკავებული. ის საღამოს სახლში არ დაბრუნდა და ოჯახის წევრები ქალის ძებნას შეუდგნენ. ორი დღის შემდეგ პლანტაციის მახლობლად მუცელგაბერილი უზარმაზარი პითონი იპოვეს. როდესაც ქვეწარმავალს მუცელი გაუფატრეს, მის კუჭში დაკარგული ქალის ცხედარი აღმოაჩინეს.

სოფლის მეთაურმა, რომელშიც ქალი ცხოვრობდა, ივარაუდა, რომ პითონი ქალს თავს დაესხა, გარს შემოეხვია და გაგუდა, ხოლო შემდეგ მთლიანად გადაყლაპა.

– ჩვენი თანასოფლელები უკვე შიშობენ, რომ შესაძლოა მახლობელ ტყეში კიდევ უფრო დიდი ზომის გველებიც ბინადრობდნენ, – განაცხადა სოფლის მეთაურმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ღაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ლოკომოტივის ხმაურიანი სენსაცია – ფინალში მეორე გუნდით

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების ფინალისტები ცნობილია – სატიტულო ბრძოლაში ერთმანეთს ქუთაისის ტორპედო და თბილისის ლოკომოტივის მეორე გუნდი დაუპირისპირდებიან.

ლოკომოტივის მეორე გუნდის ფინალში გასვლა ხმაურიანი სენსაციაა. მეოთხელიგელმა გუნდმა ნახევარფინალში დედაქალაქური საბურთალო პენალტების სერიაში დაამარცხა.

პირველ ტაიმში საბურთალო უკეთესი იყო, მეორეში უკვე ლოკომოტივმა აჯობა. ეს იმიტომ, რომ შესვენების შემდეგ საბურთალო მოედანზე კაცნაკლული დარჩა, რადგან ჯგერენაია ბოლო იმედის ჯარიმის გამო გაუძევეს.

თუმცა ლოკომ რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენა, მაგრამ პენალტებში აჯობა.

ქართული დერბი კი ტორპედომ მოიგო. რიონისპირულმა გუნდმა ფინალში გასასვლელად თბილისის დინამოს 2:0 მოუგო. ტორპედოს ლეგიონერებმა მოაგებინეს: ჯერ პაბლო მოტეირომ შეაგდო, შემდეგ – მაურო კაბალიერომ.

საქართველოს თასის ფინალი 7 დეკემბერს ბათუმში ჩატარდება. ფინალური შეხვედრა 19:00 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. ჭადრაკის პარტიის დაბოლოება; 3. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 4. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 5. კაცთმოძულე ადამიანი; 10. დამჟავებული ბოსტნეული; 11. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 12. შავი ზღვის ზვიგენი; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. ქალისადმი მიძღვნილი პატარა ლირიკული ლექსი ძველად ევროპაში; 17. ფინური ხალხური ეპოსი; 19. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი; 21. იაპონური მოტოციკლეტი; 23. რაიმეს სია, ჩამონათვალი.

თარაზულად: 6. ნაღვლიანი, სევდიანი განწყობილება; 7. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 8. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 14. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 15. გაეროს გენერალური მდივანი; 18. ტყის მსხალი; 20. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 22. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 24. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 25. ბულვარული ყურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 26. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დონბასი; 2. ცოლიკაური; 3. რეცენზია; 4. სლალომი; 5. ბაიერი; 9. სპაზმი; 11. ჩარტერი; 12. ჭილაძე; 14. კეპლერი; 18. ილორი; 19. ღალღა.

თარაზულად: 4. სულორი; 5. ბანოვანი; 6. კენზო; 7. ტარაბუა; 8. გინესი; 10. ქერჩი; 13. საკურა; 15. არმანი; 16. იუტა; 17. დოღი; 20. ლიკანი; 21. მეტეხი; 22. მერკური; 23. ღვინიო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფლუგერი; 2. პალესტრა; 3. პრიმადონა; 4. ვატმანი; 5. კალათბურთი; 10. გულაბი; 11. ფანდანგო; 12. ბოქსიტი; 13. ბლოხინი; 13. კურლანდია; 17. ხაბელოვი; 19. არტემიდა; 21. როყიო; 23. დაისი.

თარაზულად: 6. ალადასტური; 7. ბაიდარა; 8. ტეხასი; 9. დაბახანა; 14. ღლიღვები; 15. ბაქტრიანი; 18. გოგრა; 20. კაიზერი; 22. ვედრება; 25. ადორაცია; 26. პასივი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7596

ევრო — 2.7309

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1769

100 რუსული რუბლი — 4.4723

ამინდის პროგნოზი 3 ნოემბრისათვის

იურგენ კლოპმა კვარაცხელია შეაქო

ლივერპულმა ნაპოლი საკუთარ მოედანზე 2:0 დაამარცხა. მატჩის შემდეგ კლოპმა ხვიჩა კვარაცხელიაზე ისაუბრა და მის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა. კლოპის აზრით, ხვიჩა მეტოქე გუნდისთვის ძალიან საშიში ფეხბურთელია: „კვარაცხელია ძალიან სწრაფია და ბურთს კარგად ფლობს. მის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერ მცველს გაუჭირდება. მე ის ძალიან მომწონს“.

ფერან ტორესი: „მიხარია, რომ 2 გოლის გატანა შევძელი“

ბარსელონამ სტუმრად პლზენი დაამარცხა 4:2 და შეხვედრაში 2 გოლი ფერან ტორესის ანგარიშზეა, რომელმაც მატჩის შემდეგ თქვა, რომ თავდაუზოგავად მუშაობს, რათა ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში თამაში დაიმსახუროს: „ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა, თუმცა, სამწუხაროა, რომ შემდეგ ეტაპზე ვერ გავედით. ჩვენს თავზე მუშაობა უნდა გავაგრძელოთ“.

ტომას მიულერი: „ინტერი ძლიერი გუნდია“

მიუნხენის ბაიერნმა ინტერი 2:0 დაამარცხა, თუმცა მატჩი მიუნხენელებისთვის იოლი არ ყოფილა და ტომას მიულერმა თამაშის შემდეგ მეტოქე გუნდი შეაქო. მიულერის თქმით, ინტერი ძლიერი კლუბია და მას შეუძლია, ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას მიაღწიოს: „თუ ინტერს გაუმართლებს, შესაძლოა, ის ჩემპიონთა ლიგაში შორს წავიდეს. დღეს რთული თამაში გვქონდა და, ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ხელოვნების სასახლის კოლექცია უნიკალური საგანძურით შეივსო

ხელოვნების სასახლის მრავალფეროვან კოლექციას კიდევ ერთი უნიკალური ნივთი შეემატა.

გიორგი კალანდია, ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელი:

– უნიკალური ბეჭედი ხელოვნების სასახლის საგანძურის კოლექციაში – არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენი მუზეუმის საგანძურის შევსებაში მთელი ქართველობა გვეხმარება, აი ერთი მაგალითი: ემიგრანტის, ბატონი მინდია კავთელაძის დახმარებით ერთ-ერთ ევროპულ აუქციონზე შევიძინეთ ვერცხლის, ფირუზის თვლით დამშვენებული, ფილიგრანული ბეჭედი. სამკაული მრავალმხრივაა საინტერესო. გარდა იმისა, რომ ის ძალიან საყურადღებო მსგავსებებსა და პარალელებს ავლენს ქართულ ფილიგრანთან (თუმცა ეს ჯერ კიდევ სამომავლო კვლევა-ძიების საკითხია), სამკაული საყურადღებოა იმითაც, რომ მას ე.წ. საიდუმლო ჯიბე გააჩნია... ამ საიდუმლო ადგილას, გადმოცემის მიხედვით, XIX საუკუნის მანდილოსნები ინახავდნენ ნივთიერებას, რომელსაც, მეჯლისებზე გადაღლილები, გულის შეწუხებისა და თავბრუსხვევის წინააღმდეგ იყენებდნენ, ზოგჯერ კი მასში კონკურენტების დასაჩაგრ საწამლავსაც მალავდნენ. ასე რომ, ჩვენს კოლექციას საიუველირო ხელოვნების უდავოდ საინტერესო ნიმუში შეემატა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 ნოემბრისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა არ გაამართლებს. საღამოს სასიხარულო ახალ ამბავს შეიტყობთ. **კურო** – ხელსაყრელ შემოთავაზებაზე უარს ნუ იტყვით. ეს დღე მამაკაცებისათვის ძალზე იღბლიანია. **ტყუპები** – იოლად არავის მიენდოთ. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე სიტუაცია კარგად გააანალიზეთ. **კირჩხიბი** – ნურაფრის შეგეშინდებათ. საკუთარი ძალების რწმენა იქონიეთ. **ლომი** – შესაძლოა იმედი გაგიცრუვდეთ. ზედმეტი მიმნდობლობა დაგაზარალებთ. **ქალწული** – ბიზნესპარტნიორებთან კავშირი წარმატებულია. ასევე გელით ახალი და საინტერესო შემოთავაზება. **სასწორი** – იფრთხილეთ. ნუ აჩქარდებით. საკვების ხარისხს დიდი ყურადღება მიაქციეთ. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით კატეგორიული. გრძნობებს არ აჰყვეთ. წინდახედულობა დღის დევიზია. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი არასაჭირო კავშირი საჩქაროდ გაწყვიტეთ. მეტისმეტი მიმნდობლობა საქმეს გაგიფუჭებთ. **თხის რქა** – მერკურის მფარველობა საშუალებას მოგცემთ, ბიზნესში ახალი მწვერვალები დაიპყროთ. მეგობრის რჩევა ყურად იღეთ. **ვერცყული** – ილუზიებისგან დაუყოვნებლივ გათავისუფლდით. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. იძულებული ხართ, ტრადიციების არ უღალატოთ. საღამოს საოჯახო საქმეები მოაგვარეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

რაიონულ საავადმყოფოში ქირურგი მედდას ეუბნება:

– მედდა, ნარკოზი!

– რომელი?

– ადგილობრივი!

– იავნანა, ვარდოვნანაა, იავნანინაო...

•••

საავადმყოფოში ნათესავის სანახავად მისულ სოფლიდან ჩასულ მამაკაცს ავადმყოფის ცოლი ეუბნება:

– ჩემი მეუღლე ძალიან ცუდადაა და შეეცადეთ, არ აგრძნობინოთ, რაც შეიძლება მხიარული გამომეტყველებით შედით და ესაუბრეთ.

მამაკაცი ნათესავთან შევიდა პალატაში და მხიარული გამომეტყველებით ეკითხება:

– აბა, როგორ ვართ? ვკვდებით?

•••

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ფეხმძიმობის ტესტი გავიარე.

– რთული კითხვები იყო?

•••

პროფესორი სტუდენტებს ეუბნება:

– იცით, ეს ყველაფერი რას ჰგავს? თქვენ მიდიხართ მაღაზიაში, ყიდულობთ ძვირფას ქურქს 2000 ლარად. შემდეგ ქურქს ადგილზე ტოვებთ და სახლში მხოლოდ გადახდის ქვითრით ბრუნდებით. სწორედ ასევეა თქვენი განათლების შემთხვევაშიც.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სალომე შარვაძე და ნანუკა გულუა „იმედზე“ გადავიდნენ

მსახიობები სალომე შარვაძე და ნანუკა გულუა ტელეკომპანია „ფორმულადან“ „იმედზე“ გადავიდნენ.

მას შემდეგ, რაც „ფორმულაზე“ იუმორისტული გადაცემა „ქალები“ დაიხურა, მსახიობებმა არხის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს.

სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობების „იმედში“ გადასვლის შესახებ ინფორმაცია ათასობით მაყურებელს მომღერალმა ანრი ჯოხაძემ გააცნო.

გენრი დოლიძე: „ღმერთი ნიშანს მაძლევს, რომ ამ ქვეყნიდან წავიდე“

აცხადებს პოეტი გენრი დოლიძე და საკუთარი გადაწყვეტილების მიღების მიზეზსაც განმარტავს:

– ღმერთი ნიშანს მაძლევს, რომ წავიდე ამ ქვეყნიდან. ხავსს რომ ეჭიდები და ის ხავსიც რომ მოწყდება. არასოდეს მქონია ემიგრანტობის სურვილი, პირიქით, ნიჭის, ინტელექტის გადინებას ყოველთვის მტკივნეულად განვიცდიდი, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა შენ კი არ მიცურავ მეორე ნაპირზე, ქვეყანა თავისით გრიყავს.

ეს ინდივიდუალური თემაა და ძალიან გთხოვთ, თავი შეიკავოთ ყოველგვარი ინტერპრეტაციისგან.

ვერავინ დამაბრალებს, რომ არ მიბრძოლია როგორც პერსონალური, ასევე საზოგადოების უკეთესი მომავლისთვის.

ნუგზარ რუხაძე: „მოვამძლავროთ ქართული ენის დაცვის რესურსი“

ამ ინიციატივით ჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე გამოდის:

– მადლობა ღმერთს, საქართველოს ჰყავს ენათმეცნიერები და ლექსიკოგრაფები, რომლებიც ხმალამოღებული ებრძვიან ისეთ ლინგვისტურ მამაძაღლებს, როგორებიცაა: ბარბარიზმები, კალკები და სხვა ენებიდან შემოპარული ათასი ჯურის სიტყვები და ფრაზები.

პატივცემულო სახელმწიფოვ და ძვირფასო მეგობრებო, ვისთვისაც ქართული მშობლიურია, მინდა გთხოვოთ, როგორმე მოვამძლავროთ ქართული ენის დაცვის რესურსი, რაც ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ ცერბერივით დავდგეთ ჩვენი მშობლიური ენის კარიბჭესთან და არ გავაჭაჭანოთ შიგნით არცერთი ნეოლოგიზმი და უაზროდ გადავეღობოთ ქართულის განვითარებას. პირიქით, გზა მივცეთ საჭირო უცხოურ ლექსიკას, რომლის გარეშე ჩამოვრჩებით და ავლაგმოთ ის, რაც გვინაგვიანებს სანუკვარ ქართულს, ჩვენი კულტურის ფესვსა და საყრდენს.

თქვენ რომელი უცხოური წარმოშობის სიტყვები და კალკები გჭრით ყურს? დავამკვიდროთ მათი ქართული შესატყვისები. ვიბრძოლოთ ქართული ენის სიწმინდისა და გამდიდრებისთვის, ენაზე ძვირფასი რა გვაქვს! მივყვეთ ნელ-ნელა, იქნებ მართლა გამოგვივიდეს რამე.

საბა იბერო თბილისში სოლოკონცერტს გამართავს

ქართველი ფლამენკოს გიტარისტი, კომპოზიტორი და მუსიკოსი საბა იბერო 16 წლის შემდეგ პირველად სოლოკონცერტით ესტუმრება თბილისს.

ესპანეთში აღიარებული ფლამენკოს სოლისტი წლევანდელი სეზონის ყველაზე განსაკუთრებული საკონცერტო ტურით ქართველი მსმენელის წინაშე 9 ნოემბერს ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში თავის ჯგუფთან ერთად წარდგება.

კონცერტზე შესრულებული იქნება ყველა საავტორო ნაწარმოები მისი პირველი სოლოალბომიდან, რომელიც 2 წლის წინ გამოვიდა.

საბა იბეროს მოწვეული განსაკუთრებული სტუმარი იქნება პაკო დე ლუსიას ჯგუფის სოლოგიტარისტი ანტონიო სანჩესი. იგი სპეციალური ვიზიტით ეწვევა თბილისს და საბა იბეროსთან ერთად დუეტში დაუკრავს. ეს პირველი ისტორიული მოვლენაა საქართველოში, როდესაც ქართველი და ესპანელი ვირტუოზების დუეტი და დუელი ერთად შედგება ქართველი პუბლიკის წინაშე.

საბა იბერომ სევილიის სიმფონიურ კამერულ ორკესტრთან ერთად პირველი სოლოპროექტი განახორციელა საფრანგეთში, სადაც დიდი წარმატება ჰპოვა ფრანგი მსმენელის წინაშე. ამის შემდეგ მან გაზარდა მოთხოვნა თავის მუსიკალურ შემოქმედებაზე და დაიწყო სოლოკონცერტებით მოგზაურობა: ესპანეთი, დანია, ჩეხეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია, ლუქსემბურგი, ავსტრია...

ცნობილმა ესპანელმა გიტარისტებმა საბა იბერო აღიარეს XXI საუკუნის ყველაზე კონკურენტუნარიან გიტარისტად საქართველოდან.

პეპე დე ლუსია – პაკო დე ლუსიას ძმა ახალი თაობის ფლამენკოს გიტარისტებს შორის საბა იბეროს ერთ-ერთ წამყვან გიტარისტად ასახელებს, რომელიც გადმოსცემს გამაოგნებელ ექსპრესიულობას, გრძნობას, ტემპერამენტს, ვნებასა და დაუჯერებელ ტექნიკას.

კატო ჯავახიშვილის შემოქმედება აზერბაიჯანულად ითარგმნა

„დილისპირული ორისთვის“ – ასე ჰქვია პოეტ კატო ჯავახიშვილის აზერბაიჯანულ კრებულს, რომელიც უკვე გამოცემულია:

– პირველ რიგში, დიდი მადლობა ჩემს გამომცემელს რასიმ გარაჯას ასე დანახვისთვის, მეგობრობისთვის, მწერალთა სახლს – ამ წიგნის გამოცემის ხელშეწყობისთვის. მადლობა ჩემს მაგარ მთარგმნელს იმირ მემედლის, შესანიშნავ, საოცარ მხატვარს თამაზ ვარვარიძეს, რაც ძალიან დიდი პატივია ჩემთვის, ჩემს ყველა გულშემატკივარსა და მკითხველს.

ჩემი პირველი გასვლაა კავკასიაში, პირველი ნაბიჯები და დიდი პასუხისმგებლობა. დიდი მადლობა ყველას, ვინც სიტყვით თუ უსიტყვოდ ხართ ჩემთან ამდენი წელია და მადლობა ჩემს ქვეყანას, აქ და ახლა რომ მომისაჯა დაბადება ამ ძალიან რთულ და საინტერესო დროში. თუ შეიძლება, წიგნი გგავდეს, ის მე მგავს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის რაიონში; 2. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 4. ჭაობის მწერიჭამია მცენარე; 5. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 9. ერთგვარი ცხვრის ყველი; 11. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 12. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 14. საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 18. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის; 19. ფრანგი ექიმი, ნევროპათოლოგიისა და ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი.

თარაზულად: 4. აეროპორტი ნიუ იორკში; 5. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 6. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 7. ცნობილი ბაზარი ბარსელონაში; 8. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 13. ტბა სომხეთში; 15. მწვანით მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. იაპონური ბრინჯის არაყი; 17. ყურძნის არაყი; 20. ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 21. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 22. ძველებური ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა; 23. ცხენის ან აქლემის რძისგან მომზადებული სასმელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა